1)
603/13-563
9

ლელო

№ 59
(11105)

30 ივლისი – 1 აგვისტო, 1997 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

30 ივლისი – დიდი ფეხბურთის დღეა

ამ დღეს ევროპის სტადიონებზე ევროთასების საწყისი ეტაპის განმეორებითი მატჩები გაიმართება. თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საღამოს 20 საათზე დედაქალაქის დინამოელები ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდში ხვდებიან ჩრდილოეთ ირლანდიის „კრუზეიდერსის“ ფეხბურთელებს (თბილისელებმა სტუმრად ანგარიშით 3-1 მოიგეს). დღევანდელ მატჩს მოემსახურებიან თურქი მსაჯები (მთავარი არბიტრი – ჩაქარი).

უეფას თასის საკვალიფიკაციო რაუნდის განმეორებით შეხვედრას გამართავენ ფოთის „კოლხეთი-1913“-ის ფეხბურთელებიც – მინსკის დინამოელების წინააღმდეგ (პირველი მატჩი კოლხებმა სტუმრად მინიმალური ანგარიშით 0-1 წააგეს). ფოთში იმსაჯებენ რუსი არბიტრები ბუტენკოს მეთაურობით.

მართალია, ევროთასების გათამაშების საწყის ეტაპზე საფეხბურთო ელიტაში შემავალი გუნდები არ ასპარეზობენ, მაგრამ დაძაბულობა ამ მატჩებს არ აკლია. იმედია, ახლაც ასე მოხდება და ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს მრავალ სასიამოვნო წუთებს მიანიჭებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეები

ესეც მეორე ცდა...

საქართველოს დელეგაცია შინ დაბრუნდა. ჩვენი სპორტსმენების ლისაბონში ასპარეზობის თაობაზე კომენტარი ვთხოვეთ დელეგაციის ხელმძღვანელს თამაზ თევზაძეს

„პროგრამის 10 სახეობიდან, 36 სპორტსმენით, ჩვენ ვმონაწილეობდით ოთხში – ფეხბურთში, ძიუდოში, ველოსპორტში და მძლეოსნობაში.

ჭაბუკმა ფეხბურთელებმა განსაკუთრებით გვასახელეს და სპორტის ამ სახეობაში ჩვენი ქვეყნის ტრადიციები ბრწყინვალე გამარჯვებით გაამდიდრეს. ჩემპიონობა ადვილად არსად მოიპოვება, მით უფრო ასეთი დონის ასპარეზობაში. მინდა ყველას გასაგონად ვთქვა – ვახტანგ კოპალეიშვილმა შესანიშნავი გუნდი შეკრა, საყურადღებოა გუნდის არა მხოლოდ სპორტული მომზადების, არამედ მისი თითოეული წევრის კულტურის დონე.

ძიუდოისტების იმედი გვქონდა და საბოლოო შედეგებით არა ვართ უკმაყოფილონი – მოპოვებულია ერთი ვერცხლისა და ბრინჯაოს ორი მედალი. უფროსმა მწვრთნელმა ამირან ტოტიკაშვილმა ყველაფერი გააკეთა, რათა ბიჭებს წარმატებით ეასპარეზათ. ვერცხლის მედალი მოიპოვა დუშელმა ვანო ნადირაშვილმა (71 კგ), რომლის მწვრთნელია ჯემალ ნათელაშვილი, მსაჯების მიკერძოება რომ არა, მწვრთნელ ვაჟა ბალხამიშვილის შეგირდს ხაშურელ გელა ბარათაშვილს (55) შესანიშნავი შანსი ჰქონდა ებრძოლა ოქროს მედლისათვის. საბოლოოდ, მას „ბრინჯაო“ ხვდა. ასეთივე წარმატებას მიაღწია ქუთაისელმა გრიგოლ მამრიკიშვილმა (65), რომელსაც ბიძამისი ტარიელ მამრიკიშვილი აოსტატებს.

ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქობულეთელმა ველომრბოლმა ლევან მესხაძემ. სამთო რბოლის სტარტზე მას მეტოქეები დაეჯახნენ და წააქციეს. ვიდრე ლევანი ასპარეზობას გააგრძელებდა ჯგუფი მთელი 30 მეტრით დაწინაურდა, და მაინც, წამოეწია მეტოქეებს და რბოლის სათავეშიც მოექცა. ამაში კი ძალიან ბევრი ენერგია დახარჯა და საბოლოოდ 35-ე ადგილზე გავიდა 87 მონაწილეთა შორის.

როგორც წინა ანალოგიურ ასპარეზობაში, სამწუხაროდ, ახლაც იმედები ვერ გაამართლეს მძლეოსნებმა.

ქვეყნები და მედლები

ადგილები განაწილდა მოპოვებული მედლების რაოდენობის მიხედვით

ქვეყანა	ო.	ვ.	ბ.
1. რუსეთი	18	13	11
2. უკრაინა	11	5	6
3. დიდი ბრიტანეთი	10	2	10
4. საფრანგეთი	4	10	7
5. გერმანია	6	4	9
6. იტალია	4	6	6
7. რუმინეთი	3	5	4
8. ბელგია	2	1	8
9. შვეცია	2	4	3
10. პოლანდია	1	2	5
11. ავსტრია	3	1	3
12. ესპანეთი	2	2	3
13. ბელარუსი	1	4	2
14. ფინეთი	3	1	2
15. საბერძნეთი	1	2	3
16. დანია	2	2	-
17. ირლანდია	2	1	1
18. ისლანდია	2	1	1
19. ჩეხეთი	1	2	1
20. საქართველო	1	1	2
21. შვეიცარია	-	3	1
22. თურქეთი	-	3	1
23. სლოვენია	-	2	2
24. პოლონეთი	-	1	3
25. უნგრეთი	2	1	-
26. ლიტვა	-	2	1
27. პორტუგალია	-	1	2
28. სლოვაკეთი	2	-	-
29. იუგოსლავია	1	-	1
30. ისრაელი	-	1	1
31. კვიპროსი	1	-	-
32. სომხეთი	-	1	-
33. ნორვეგია	-	1	-
34. ბულგარეთი	-	-	1
35. ხორვატია	-	-	1

ლატვიას, ესტონეთს, მაკედონიას, ლიხტენშტეინს, მალტას, მოლდოვას, მონაკოს, სან-მარინოს, აზერბაიჯანს, ბოსნია-ჰერცოგოვინას, ალბანეთს, ანდორას, ლუქსემბურგს მედლები არ მიუღიათ.

სახელმწიფო ბიუჯეტი და ქართული სპორტი

ვინ რა მიიღო, ვინ რას მიიღებს

ვაგრძელებთ გამოხმაურებას წერილზე «სახელმწიფო ბიუჯეტი და სპორტი». დღეს სპორტის რამდენიმე სახეობაზე შევჩერდებით.

სამბო

ცხრილში, რომელიც „ლელოს“ 56-ე ნომერში გამოქვეყნდა მითითებული იყო, რომ წლეულს 6 თვეში სამბისტებმა 49,5 ათასი დოლარი მიიღეს. უკუგება კი ასეთია – ევროპის ჩემპიონატში 2 ოქროს, 2 ვერცხლის და 11 ბრინჯაოს მედალი, მსოფლიოს თასის გათამაშებაში კი 1 პირველი, 3 მეორე და 2 მესამე ადგილი. სულ 25-ჯერ ავიდნენ ჩვენი სამბისტები მსოფლიო არენის საპატიო კვარცხლბეკის 1, 2 და 3 საფეხურზე. ამ მაჩვენებლებით მათ ჯერჯერობით ვერავინ შეედრება და ალბათ ლიდერობას წლის ბოლოსთვისაც შეინარჩუნებენ. ასე რომ, საშუალოდ ყოველი წარმატება 2 ათასი ლარიც არ დამჯდარა (49,5:25=?), რაც ასევე ბრწყინვალე მაჩვენებელია. წლის მეორე ნახევარში კი სამბისტები კვლავ მიიღებენ დაფინანსებას წლეულს შემოდგომაზე თბილისში დაგეგმილ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისათვის უკეთ მოსამზადებლად.

კრივი

წლის პირველ ნახევარში მოკრივეებს ბიუჯეტიდან 97,1 ათასი ლარი მოხმარდა. ევროპის ჩემპიონატში მოპოვებულია 1 ბრინჯაოს მედალი, უმაღლესი კატეგორიის ტურნირებში კი 1 ოქროს და 2 ბრინჯაოს მედალი. ღირებულების დადგენა თითოეული მედლისა, მკითხველისთვის მიგვინდვია 97,1:4=? როგორც ამბობენ, წლეულს ჩვენს რინგის ოსტატებს მაინცდამაინც არ უმართლებთ. და მაინც, რას მიიღებენ წლის ბოლომდე? დაფინანსდება საკვალიფიკაციო ტურნირისთვის მზადება (ფინეთი, სექტემბერი), აგრეთვე სასწავლო-სპორტული შეკრება მსოფლიო ჩემპიონატის წინ (ბუდაპეშტი, 16-27 ოქტომბერი) და თანხები გამოიყოფა ევროპის თასის (თელ-ავივი, 3-16 დეკემბერი) გათამაშებაში მზადებისა და მონაწილეობისათვის.

ძალოსნობა

რედაქციაში მოწოდებულ და ადრე გამოქვეყნებულ ცხრილ-ინფორმაციაში, ტექნიკური მიზეზით, გამორჩენილი იყო ძალოსანთა დაფინანსება, რაც 6 თვეში 29,2 ათასი ლარია. წლეულს ძალოსნები მიიღებენ თანხებს მსოფლიო ჩემპიონატისათვის (ბანკოკი, 7-17 დეკემბერი) მოსამზადებლად და მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ ფული მოხმარდება მხოლოდ იმ სპორტსმენებს, რომლებსაც ექნებათ მედლის მოპოვების რეალური პერსპექტივა.

დაჯილდოება

საქართველოში ძალოსნობის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი *გურამ ფარულავა* დაჯილდოვდა *სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საპატიო სიგელით.*

მილოცვა

თბილისის მერიის სპორტის სამმართველო დაბადებიდან *60 წლისთავს* ულოცავს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ძალოსნობაში *გურამ ფარულავას.*

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით საქართველოში ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის თბილისის დინამოს ვეტერანი ფეხბურთელები *ვლადიმერ ბარქაია* და *ილია დათუნაშვილი* დაჯილდოვდნენ *ღირსების ორდენით.*

თბილისის 25-ე საერთაშორისო ტურნირი

ათვლას ახლიდან არ ვიწყებთ, ვაგრძელებთ...

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ცნობილი ამბავია, დაკარგვა ადვილია, დაბრუნება – ძნელი. ტრადიციის შენარჩუნებაც გაცილებით იოლია, ვიდრე მისი თავიდან აღორძინება. მაგრამ რას იზამ, ბედმა ასე ინება და ძიუდოისტთა ძალზე პოპულარული თბილისის საერთაშორისო ტურნირი საქართველოში შექმნილი ცნობილი ვითარების გამო, მთელი ოთხი წლით დაგვემშვიდობა. ბოლოს კი, ჩვენდა სასიკეთოდ, მოვლენები ისე განვითარდა, რომ კვლავ მოხერხდა დაკარგულის დაბრუნება, საქმე ახლა პრესტიჟის აღდგენაა, რაშიც უდავოდ შეგვიწყო ხელი ათი ქვეყნის წარმომადგენელთა სტუმრობამ. თუმცა 30-მდე ქვეყნის დელეგაციას ველოდით, ზოგიერთების არჩა-

იხ. მე-2 გვ.

ტურნირში მონაწილეობდნენ იაპონიის, რუსეთის, საფრანგეთის, ინგლისის, ირანის, თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, ბელარუსისა და საქართველოს ძიუდოისტები.

რედაქტორის სვეტი

რატომ დაივიწყეს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია ეროვნული სტადიონის გასახელმწიფოებრიობისას?

ამ დღეებში ბევრს ლაპარაკობენ და, რაც მთავარია, თბილისის ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის თემა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების ყურადღების ცენტრშია მოქცეული. დღეს ყველამ იცის, რომ სტადიონის მოდერნიზაცია – რეკონსტრუქციას ხელს უშლიდა იურიდიული სტატუსის განსაზღვრის გაჭიანურება. ბოლოს და ბოლოს ეს საკითხი დადებითად გადაწყდა და ივლისის შუა რიცხვებიდან დაიწყო რეკონსტრუქციის პირველი ეტაპის სამუშაოები.

კეთილი და პატიოსანი! ჩვენი სტადიონი მსოფლიოს საუკეთესო არენებს გაუტოლდება! ცხადია, ეს უნდა გვახარებდეს, მაგრამ, ვიტყვით პირდაპირ, არ შეიძლება სპორტის ერთ სახეობაზე გადავიტანოთ მთელი გულისყური და გვერდს გავიხადოთ თუნდაც მსოფლიოში ფეხბურთზე არანაკლებ პოპულარული და მასობრივი სპორტის ისეთი სახეობა, როგორიც მძლეოსნობაა. თუ რა შუაშია ეს შედარება, ქვემოთ ვნახავთ. ვიდრე არ გადაწყდა სტადიონის სტატუსი, მისთვის უეფამ და სხვა ორგანიზაციებმა არც თანხები გამოყვეს და არც სამუშაოები დაწყებულა. ახლა ეს პრობლემა მოგვარებულია. მთავარი მაინც, როგორც ვთქვით, ბაზის სტატუსი იყო – სტადიონი საზოგადოება „დინამოს“, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, საფეხბურთო კლუბ „დინამოსა“ და თბილისის მერიის საკუთრება გახდა. არა გგონია, როცა ამ გადაწყვეტილებას იღებდნენ, ვინმეს არ გახსენებოდა მძლეოსნობა თუნდაც იმიტომ, რომ ამას თვით ამ გოლიათი სპორტული ნაგებობის პასპორტიც მიანიშნებს და იგი არა მხოლოდ საფეხბურთო, არამედ, ფეხბურთისა და მძლეოსნობის კომპლექსური არენაა, და უკეთესი ბაზა ფეხბურთისთვის კი არა, საქართველოში, სხვათა შორის, არც „სპორტის დედოფლისთვის“ გაგვაჩნია. მაშ რა მოხდა, რატომ დაივიწყეს მძლეოსნობა და შესაბამისად რატომ არ გაიხადეს მესაკუთრეებმა პარტნიორად სპორტის ამ სახეობის ჩვენი ფედერაცია? გვინდა გვჯეროდეს, რომ ყველაფერი უნებლიედ მოხდა და განგებ არავის გაურიყავა მძლეოსნები. ისე, თუ წილის დადებაზე მიდგებოდა საქმე, ვინ თქვა, რომ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია, რომელიც დღეს მისი პრეზიდენტის პრიმო ნებიოლოს ხელმძღვანელობით მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან სპორტულ ორგანიზაციად იქცა, უკან დაიხევდა? ვინმე შეეხმიანა ამ ფედერაციას? არის მეორე საკითხიც, – შეიძლება მართლაც არავის გაახსენდე და არავინ არაფრად ჩაგაგდოს თუ არაფრად ღირხარ, დღეს ეს არაა გასაკვირი, მაგრამ თუ ღირხარ? ნახეთ – მხოლოდ ჭიდაობის ყველა სახეობა ერთად აღებული თუ შეედრება საქართველოში ჩვენს მძლეოსნებს ოლიმპიური მსოფლიო და ევროპის სარბიელზე მოპოვებული მედლებით, გნებავთ მონაწილეთა რაოდენობითაც კი. ასე რომ, მძლეოსნობა ჩვენი მართლაც სტრატეგიული სახეობაა და თუ დედასტადიონის გასახელმწიფოებრიობა აუცილებელი იყო, რატომ არ უნდა მიეღო (ვიმეორებთ, თუნდაც ფულადი შენატანით) თავისი წილი მძლეოსნობის ფედერაციას?..

მეტს აღარ გავაგრძელებთ. დანარჩენის თქმა მერეც მოესწრება. ახლა მთავარია, შეცდომა დროულად გამოსწორდეს. იქნებ რამეში ვცდებით კიდეც. მაშინ დასაბუთებულად გვითხრან, რომ გულმავიწყობა არაფერ შუაშია და ამ სპორტული ორგანიზაციისთვის ჩვენი თავგამოდება ყოვლად უსაფუძვლოა.

ათვლას ახლიდან არ ვიწყებთ, ვაგრძელებთ...

გიორგი რევაზიშვილი

გიორგი წმინდაშვილი

ივერი ჯიქურაული

(პირველი გვერდიდან)

მოსვლას სრულებითაც არ დაუჩრდილავს ტურნირისადმი ინტერესი.

ვიდრე უშუალოდ შეჯიბრებების შესახებ ვიტყოდეთ, კენჭისყრას შევეხებით. ამ პროცესს თერთმეტივე გუნდის წარმომადგენლები დაესწრნენ. აქაც შესანიშნავად გამოავლინეს ქართველებმა ჩვეული სტუმარ-მასპინძლობა და სუფრას, „ჩიტის რძეც" არ აკლდა, ერთმანეთის მიმართ მომავალ მეტოქეთა დამოკიდებულება თბილი იყო. ეგ კი არა, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლები გვერდიგვერდ ისხდნენ და ეტყობოდათ, რომ ეროვნული პრობლემების გარჩევას სულაც არ აპირებდნენ „ნეიტრალურ მოედანზე".

რაც შეეხება ტურნირს, იგი საინტერესოდ წარიმართა. თითოეული მოჭიდავე ამ შეჯიბრებაში გამარჯვებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ძიუდოს სამშობლო – იაპონია არასრული შემადგენლობით გვესტუმრა, თუმცა ოთხ მონაწილეთაგან შემდგარმა გუნდმა მოახერხა თითო ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მოპოვება.

პირველ დღეს ოთხ წონით კატეგორიაში ჩატარდა შეჯიბრება, ნახევარფინალში გასასვლელად მოჭიდავეს სამი გამარჯვება უნდა მოეპოვებინა და შემდგომ ეტაპზე წარმატების შემთხვევაში ფინალისაკენ იკვლევდა გზას, დამარცხება კი მესამე ადგილის შანსს უნარჩუნებდა. თუ ნახევარფინალამდე სპორტსმენი რომელიმე შეხვედრას დათმობდა, მაშინ „დამამშვიდებელ" ეტაპზე გააგრძელებდა ჭიდაობას.



60 კგ

1) ბულდუს სულთანოვი (აზერბაიჯანი)
2) ნესტორ ხერგიანი (საქართველო)
3. მამუკა მათიაშვილი და მამუკა მახათაძე (ორივე – საქართველო)

ფინალი დაძაბულად წარიმართა. ორივე მოჭიდავე თავიდან პასიურობდა. შეხვედრის დამთავრებამდე სულ ცოტა დრო იყო დარჩენილი, რომ ხერგიანმა, რომელიც („იუკოთი") წინ იყო, გამარჯვება გაუშვა ხელიდან. მოწინააღმდეგემ მტკვინეული ილეთი ჩაუტარა და იგი დანებდა.

65 კგ

1. გიორგი რევაზიშვილი (საქართველო)
2. მამუკა კურდღელაშვილი (საქართველო)
3. არუთინ არზუმანიანი (სომხეთი).

რაკი ტურნირში გიორგი ვაზაგაშვილი არ მონაწილეობდა, ამ წონაში რევაზიშვილი უცილობელი ფავორიტი იყო. მან ფინალამდე შეხვედრები (იპონით) მოიგო. ფინალიც იგივე სცენარით წარმართა და 1 წუთსა და 15 წამში ისეთი ილეთი ჩაუტარა თანამემამულეს, რომ ფრანგმა მსაჯმა უყოყმანოდ სუფთა გამარჯვება აღნიშნა.

71 კგ

1. მასაში ნიტა (იაპონია)
2. ზარვანი (ირანი)
3. ანი ფორტე (საფრანგეთი) და ზაზა გულიაშვილი (საქართველო)

იაპონელმა თავიდანვე აქტიურად დაიწყო ჭიდაობა. მოწინააღმდეგეს ჯერ გაფრთხილება მიაღებინა, შემდეგ კი 3 წუთსა და 7 წამში წმინდა გამარჯვებაც დაიმსახურა.

78 კგ

1. ჯემალ ჰასანოვი (რუსეთი)
2. გიორგი ჭაბუკაშვილი (საქართველო)
3. ამი აზიზოვი (აზერბაიჯანი) და გიორგი მუმლაძე (საქართველო)

ჯემალ ჰასანოვმა ამ ტურნირში ბრწყინვალედ იასპარეზა, მან ყველა ორთაბრძოლა ფინალის ჩათვლით იპონით მოიგო.

86 კგ

1. გიორგი წმინდაშვილი (საქართველო)
2. სოსო ლიპარტელიანი (საქართველო)
3. კრისტოფ დალი (საფრანგეთი) და გიორგი გუგავა (საქართველო)

ქართული ფინალი უინტერესოდ წარიმართა. წმინდაშვილმა ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი აქტიური ჭიდაობის წყალობით დაამარცხა.

95 კგ.

1. ივერი ჯიქურაული (საქართველო)
2. ერიკ ფურუ (საფრანგეთი)
3. შინი ჩირო (იაპონია) და დავით არაბული (საქართველო)

შეხვედრა პირველი ადგილისათვის უინტერესოდ წარიმართა. ჯიქურაულის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ტრავმირებულმა (მას მარჯვენა ფეხის თითი მოტეხილი ჰქონდა), აქტიურობით მოახერხა უპირატესობის მოპოვება მეტოქესთან.

+95 კგ

1. ტამერლინ ტმენოვი (რუსეთი)
2. იოკი ტამურა (იაპონია)
3. გიორგი დაბრუნდაშვილი და ალექსი დავითაშვილი (ორივე – საქართველო)

მძიმეწონოსანთა ფინალს ყველა მოუთმენლად ელოდა. იაპონელს მანამდე ყველა შეხვედრა იპონით ჰქონდა მოგებული, მაგრამ დაღესტნელმა ტმენოვმა, რომელსაც იმ დღეს 20 წელი შეუსრულდა, იუკოს წყალობით გადამწყვეტ მომენტში შეაჩერა მეტოქის წინსვლა კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ.

გოგა ლომიძე

ტურნირი წლეულს ბ კატეგორიისა იყო, გაისად კი ნავარაუდევია მიენიჭოს უმაღლესი კატეგორია. ეს საკითხი დგას დღის წესრიგში, მაგრამ მისი დადებითად გადაწყვეტა დამოკიდებულია რამდენიმე პირობის აუცილებლად შესრულებაზე. ესაა: სპორტის სასახლეში სადოპინგო კონტროლის ოთახის გამოყოფა და აღჭურვა, მოთელვისათვის ადგილის გამოცალკევება, ასევე აუცილებელია მსაჯებს კოსტიუმებზე მიკერებული ჰქონდეთ ძიუდოს ემბლემები და, რაც მთავარია, აუცილებელია ქალთა ასპარეზობისათვის პირობების შექმნა, ვინაიდან ძიუდოისტთა შეჯიბრებები ერთ ვადებში ტარდება ვაჟებისა და ქალებისათვის. ასე რომ, წინ მთელი წელიწადი გვაქვს, მაგრამ წელიწადი საკმაო დრო მხოლოდ იმათთვისაა, ვინც საქმეს ხელს დროულად მოჰკიდებს.

* * *

დღეს თუ ტელესამყაროდან ადამიანებს განსაკუთრებულად რაიმე იზიდავს, მათ შორის უდავოდაა სპორტული რეპორტაჟი. ინტერესს ასეთი რეპორტაჟებისადმი განაპირობებს თვით სპორტის სახეობა და, რა დასამალია, პერსონა, ვინც ამ რეპორტაჟს უძღვება. მსოფლიომ კარგა ხანია აქაც მოაგონო მასტიმულირებელ საშუალებას – ცნობილ სპორტსმენთა მიწვევას მიკროფონთან. ადრინდელი კერპები გულშემატკივრებს ახლა ტელეეკრანიდან თუ პროფესიულად რადიომიმღებიდან განუმარტავენ პაექრობათა პერიპეტიებს და სწორედ ეს იწვევს დიდ ინტერესს. ამ ფოტოზე, ცნობილ კომენტატორ თემურ ჯაფარიძესთან ერთად აღბეჭდილია ძიუდოში ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ხაბარელი (მარცხნივ), ძიუდოისტთა თბილისის 25-ე საერთაშორისო ტურნირის რეპორტაჟებით ამ დუეტმა შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა მათ შორის, ვინც თვალყურს შინიდან გაუსვლელად ადევნებდა ტურნირს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ფირმა HEWLETT PACKARD-ის
ლაზერული პრინტერი
HP LaserJet 5
უახლესი მოდელი.
დარეკეთ:
92-05-47
სასწრაფოდ იყიდება
ქსელში
მართული
კომპიუტერების
მომსახურებისათვის
ფასი ხელშეკრულებით.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა 50-იანი წლების პირველ ნახევარში ამავე გაზეთის ყოფილი რედაქტორი

ერემო მახათაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ცხელ გულზე — წერილი რედაქციას

უტაქტობა...

მთელი მსოფლიო, და საბედნიეროდ, ჩვენც, ვუყურებდით „ტურ დე ფრანსის" მეტად თვალწარმტაც – აზარტულ სანახაობას. მთელი თვე სპორტის ყველა გულშემატკივარი თვალს ვერ აშორებდა ველომრბოლთა ამ ჟინიან შეჯიბრებას. კვირას კი, კვირას პარიზში, ელისეს მინდვრებზე გაიმართა დასკვნითი ეტაპი. სამი საათი გულშემატკივარი თვალს ვერ აშორებდა სპორტულ სანახაობას და აი, როცა ფინიშამდე კილომეტრი რჩებოდა (სულ 148 კილომეტრი იყო უკვე გავლილი), „აიეტის – ტვ"-ის რომელიღაც თავნება წარმომადგენელმა გათიშა „ევრო-სპორტი" და ჩვენი საკუთარი რეკლამა ჩართო. რა თქმა უნდა, ფინიში ვერ ვნახეთ. ეს საქციელი სპორტის, ტელემაყურებლის აბუჩად აგდებაა (მოგვიანებით ასპარეზობა კვლავ ვნახეთ, როცა იმ რომელიღაც თავხედმა კვლავ ჩართო „აიეტი – ტვ"). საერთოდ, ბოლო ხანს „აიეტი – ტვ"-ს წარმომადგენლებისგან შეიმჩნევა აგდებული დამოკიდებულება მაყურებლებისადმი (მაგალითისათვის ჩართეთ ოცდამეთვრამეტე არხი და ნახავთ, არც ერთი გადაცემა თავის დროზე არ იწყება, ხოლო პროგრამის ტიტრებს, როცა მოეპრიანებათ მაშინ გამოსახავენ. არადა, ეს არხი უშუალოდ „აიეტის" – შექმნილია და თავად აწარმოებს გადაცემას, მაგრამ დაუდევრობა და მაყურებლისადმი უპატივცემლობა ეტყობა აქ წესად შემოდის, ამის კიდევ ერთი მაგალითია ესპანეთის პროგრამის გათიშვა), მაყურებელი კი რას არ ამბობს. ამ ტელეკომპანიის ზოგიერთი წარმომადგენელსავით უტაქტო უნდა ვიყო, რომ იგი გავიმეორო, მაგრამ ერთს კი კატეგორიულად მოვითხოვ მომხდარი ინციდენტის გამო „აიეტი-ტვ"-ის ხელმძღვანელობამ საზოგადოებას ბოდიში მოუხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული გავხდებით მივმართოთ სასამართლოს და მოვითხოვოთ (რაც ნამდვილად არ გვსურს) დიდი მორალური კომპენსაცია.

ნოდარ კობერიძე,

მწერალი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სამსახურის უფროსი, ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსი

სპორტი ყველასათვის

აბა, თქვენ იცით, გამგებლებო!

დიდი სპორტი ცხადია, მთელი მსოფლიოს საკუთრებაა და ყველას შეუძლია მოიწადინოს, იშრომოს უმაღლესი მიღწევებისთვის. მაგრამ სულ სხვაა გზები, ვისაც მიზნად დაუსახავს მხოლოდ „საკუთარი ჭია გაახაროს", კმაყოფილება მიიღოს და ჯანმრთელობაც გაიკაჟოს. ამ სურვილით შეპყრობილთ მასობრივი სპორტის მიმდევრებს ვეძახდით. ახლა, როცა ცხოვრება შეიცვალა, ბევრს ეგონა, რომ ის მასობრივი გატაცება კომუნისტური იდეოლოგის პირმშო იყო და წარსულს ჩაბარდა. ახლა კი ნელნელა ვუბრუნდებით რეალობას, ვგრძნობთ, რომ ამგვარი მიდგომა საკუთარი თავისადმი მტრობას ნიშნავს. მთელს ჩვენს პლანეტაზე მისდევენ სპორტს დევიზით „სპორტი ყველასათვის". ახლა ჩვენც ამ დევიზით ვიწყებთ ცხოვრებას და რაოდენ სასიხარულოა, რომ მაგალითს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები იძლევიან სპორტის მუშაკებთან ერთად.

ამ დღეებში გაიმართა თბილისის მერიისა და დედაქალაქის რაიონების სპარტაკიადა სპორტის 10 სახეობაში. საერთო გუნდურ ჩათვლაში უძლიერესის სახელი მოიპოვა დიდუბის რაიონის გამგეობის გუნდმა, მეორე იყო ჩუღურეთის, მესამე – საბურთალოს რაიონი. სახეობების მიხედვით სპარტაკიადაში გამარჯვებულები არიან: მინიფეხბურთში – ჩუღურეთი, ცურვაში, ჭადრაკში შაშში, ბაგირის გადაძალვაში, ნარდში, სიმძიმის აწევაში, კალათბურთის ტყორცნაში, ტყვიის სროლაში – დიდუბე, მკლავჭიდში – გლდანი.

სპარტაკიადზე დაწესებული იყო უარმავი პრიზი: მინიფეხბურთში ბომბარდირის ჯილდო ერგო თენგიზ მელაშვილის ვაჟს გიგის (დიდუბის რ-ნი), საუკეთესო მოთამაშისა – რევაზ თავართქილაძეს (ჩუღურეთი), მეკარისა – ბესო ახალაძეს, „ყველაზე სპორტული გამგებლისა" – ვლადიმერ დარჯანიას (ჩუღურეთი), ამავე ნომინაციით, გამგებლის მოადგილისა – გიორგი ხუციშვილს (კრწანისი), „მის სპარტაკიადისა" – თეონა ბექაურს (მერიის სპორტის სამმართველო), „მაყურებლის სიმპათიისა" – რევაზ კვირიკაძეს (მთაწმინდა).

თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსი ვლადიმერ კანკავა თასს გადასცემს ჩუღურეთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარეს ვლადიმერ დარჯანიას.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გამოიწერეთ ლელო გახსოვდეთ, ხელმოწერისას თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ გაზეთის მიღების ხელსაყრელი ფორმა: ბინა, სამსახური, უახლოესი საფოსტო განყოფილება. მიაკითხეთ მაცნეს (ყოფილი „სოიუზპეჩატი"), აგრეთვე შპს „უწყებანს" (კოსტავას, 14), შპს „ექსპრესს" (ჯავახიშვილის 68). ტელეფონები: „უწყებანი" — 93-64-72, 93-22-86;

ტაისონს ამანათით ყურები გაუგზავნეს

ამერიკელ სუპერმარკეტებში, კარგა ხანია იყიდება ძაღლების საყვარელი სასუსნავი – ძვალივით გამხმარი ღორის ყურები. ამას წინათ, ხუთი ასეთი ყური გაეგზავნა თავსლაფდასხმულ მაიკ ტაისონს, რომელმაც რინგზე ყური მოაკვნიტა მეტოქე ევანდერ ჰოლიფილდს.

სხვათა შორის, ფოსტამტიც ვერაფერს შეედავება გამგზავნს – ყურებს აწერია მისამართი, დაკრულია მარკები და მათი წონა და ზომაც არ აღემატება გზავნილობისთვის დასაშვებს, რის გამოც კანონიერ საფოსტო პაკეტად ითვლება. რადგანაც ამერიკაში ფოსტა საათივით მუშაობს, ყურები დროულად და აუცილებლად მიუვა ადრესატს, მან კი ამანათის მიღებაზე ხელი უნდა მოაწეროს. სხვა საქმეა, რამდენად „ეგემრიელება" ყურები მაიკ ტაისონს.

იუბილარი

ვლადიმერ ბარქაია

1963 წლის საფეხბურთო სეზონისათვის ვემზადებოდით. საგაზაფხულო შეკრება თბილისის „დინამოს“ ტრადიციულად დაბა ლესელიძეში ჰქონდა, პანსიონატ „სპორტის“ ბაზაზე. რედაქციის ერთკვირიანი მივლინებით ჩავედი ჩვენს გუნდთან. დინამოელთა საკონტროლო მატჩებისა და ვარჯიშისაგან თავისუფალ დროს სამოთხჯერ ვეწვიე ადლერს, ხოსტასა და სოჭს. ვიცოდი, რომ იქ წიგნების მაღაზიებში ისეთ საინტერესო ლიტერატურას წავაწყდებოდი, რომელიც ნაკლებად შემოჰქონდა ჩვენს „საქწიგნს“ თბილისში. იმ დღეს ამ მხრივ მართლაც დიდად გამიმართლა — ადლერის ცენტრში მდებარე უზარმაზარ მაღაზიაში ბარე თხუთმეტი ჩემთვის მეტად საგულისხმო წიგნი ვიყიდე და საღამო ხანს დავბრუნდი ლესელიძეში. მეორე დღესვე, საუზმის შემდეგ, ვუჩვენე ჩემი ნადავლი დინამოელ ფეხბურთელებს. მახსოვს, ორიოდე წიგნი სპორტზე იყო, დანარჩენები კი კინოზე, ხელოვნებაზე, ყველას მაინც მხატვრული ნაწარმოებები სჭარბობდა. საინტერესო ჩანდა ფრანგი ქალის ან ფილიპის წიგნი თავის ქმარზე — სახელგანთქმულ კინომსახიობ ჟერარ ფილიპზე. ერთი სული მქონდა, როდის დავიწყებდი მის კითხვას. ჩემს ნომერში სხვა ფეხბურთელებთან ერთად ვლადიმერ ბარქაიაც შემოვიდა: მათხოვე ეს წიგნი, საღამოსათვის არაფერი მაქვს წასაკითხი, შენ კი ჯერ სხვა წიგნით შეიქციე თავიო!

ვათხოვე წიგნი და მერე კარგა ხანს არც გამხსენებია, ისე ვიყავი გართული რედაქციისათვის სეზონისწინა მასალების მომზადებით. როცა მოვიცალე, ახალნაყიდი სენტ-ეგზიუპერის წიგნის წაკითხვა დავაპირე. მაგრამ სად იყო? სად გაქრა ან ვინ წაიღო? რა ვიცი, ფეხბურთელები ჩემთან ხშირხშირად შემოდიოდნენ. დავიწყე ეჭვმიტანა ერთზე, მეორეზე, მესამეზე... თავიდანვე გამოვრიცხე მწვრთნელები — მიხაილ იაკუშინი, ავთანდილ ღოღობერიძე და ალიოშა კოტრიკაძე, რა თქმა უნდა, ისინი ამას არ იკადრებდნენ. მერე თანდათანობით მოთამაშეებიც გამოვთიშე: ერთს მაინცდამაინც არ უყვარდა კითხვა, მეორეს უფრო ჟურნალ-გაზეთები აინტერესებდა, მესამეს — ახალი მუსიკალური ჩანაწერები, მეოთხე სულ ტელევიზორს უყურებდა, მეხუთე — ბილიარდს თამაშობდა გაუთავებლად. რა თქმა უნდა, ჩემი ეგზიუპერი ბარქაიამ წაიღო! წიგნს არ დატოვებდა წაუკითხავს. ასე „გამოვთვალე“ წიგნის ქურდი, თუმცა, მოგეხსენებათ, წიგნის ქურდი ქურდი არაა!

ამ მასალას რომ ვამზადებდი, ბარქაიასთან საუბრისას რატომღაც გამახსენდა ან ფილიპის ის დაუბრუნებელი წიგნი: რა ჰქენი, დაამთავრე კითხვა, კარგა დრო გავიდა მას შემდეგ?! — „ვუკბინე“.

გაეცინა და ეშმაკურად მიპასუხა „ „რომელი“?

მერე ცოტა დააყოვნა და მომიგო: აი, მაშინ, ლესელიძეში, ეგზიუპერიც ხომ არ დაგეკარგა?

უცებ ყველაფერი ნათელი გახდა! ჩემი ეგზიუპერიც სიომა ბარქაიამ მიითვისა. მაგრამ „მსჯავრდადებულს“ პასუხი აღარ ვაგებინე... როგორც იტყვიან, საქმის ხანდაზმულობის გამო. მას შემდეგ ხომ, არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად 34 წელიწადი გავიდა!

... ყველაფერი უწყობდა ხელს ფეხბურთელი რომ გამოსულიყო, თანაც კარგი: დაიბადა და გაიზარდა, გაგრაში სადაც მოგეხსენებათ, იმთავითვე განსაკუთრებულად ეტრფოდნენ ტყავის ბურთს. ამასთან, მისი მშობლიური სახლი სტადიონს ემიჯნებოდა. ასე რომ, რომც არ გინდოდეს, მაინც „გამოხვალ“ ფეხბურთელი.

საუკეთესო გუნდები ჩადიოდნენ იმხანად სეზონისწინა საგაზაფხულო შეკრებაზე შავი ზღვის სანაპიროზე — სიომას მშობლიურ ქალაქში და ახლომახლო დაბებში. მარტსა და აპრილში აქ თავისუფალ მინდორს ვერ ნახავდით. მეტწილად დინამოელთა კლუბები იყო გაგრის სტუმრები — მოსკოვის, კიევის, მინსკის, ლენინგრადის გუნდები. თუ მოსკოველი დიდოსტატები — ხომიჩის, სემიჩასტნის, ბლინკოვის, ტროფიმოვის, კარცევის, ბესკოვის, სერგეი სოლოვიოვის ხილვა, რომ იტყვიან, სიომას თავისი სახლის ფანჯრიდან შეეძლო, ქართული ფეხბურთის ჯადოქრების — პაიჭაძის, ჯეჯელავას, ღოღობერიძის, მარღანიას, ძიაპშიპას, ანთაძისა და სხვათა თამაშისა და ვარჯიშის საცქერლად ბიჭებს ცოტა შორს უწევდათ სიარული — ლესელიძეში, პანსიონატ „სპორტის“ მოედნებზე. ბარქაიას ძალიან მოსწონდა ბესკოვის ტაქტიკური „ყნოსვა“, კარცევის ყუმბარისებური დარტყმები, აი, ავთანდილ ღოღობერიძეზე პირდაპირ ჭკუას კარგავდა — თბილისელთა კაპიტანი მწვანე მინდორზე მართლაც ყველაფერს აკეთებდა, რაც კი უნდოდა და გაუთავებლად აიძულებდა მეკარეებს ბურთი გამოეტანათ კარის ბადიდან.

● *თუ გიფიქრია მაშინ შენს ფეხბურთელობაზე, იქნებ უკვე საკუთარი გუნდიც გყავდა შერჩეული ოცნებაში, მაინც რომელი „დინამო“ იყო ეს — მოსკოვისა თუ თბილისის? — ვეკითხები ვ. ბარქაიას.*

— შენ, რა თქმა უნდა, ჩემგან პასუხად მხოლოდ თბილისის „დინამოს“ ელი! ნამდვილად ასე იყო — ბავშვობიდანვე მიყვარდა იგი და აკი თავგამოდებით გულშემატკივრობდი კიდეც. რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ ოდესმე მეც ჩავიცვამდი საყვარელი გუნდის თეთრ-ცისფერ მაისურს,

ტალანტი — ტალანტად, ხელსაყრელი პირობები — ხელსაყრელ პირობებად, მაგრამ აი თუ ჭეშმარიტი გამზრდელი ოსტატი არ შეხვდა ცხოვრების გზაზე შეგირდს, დაგვეთანხმებით, იგი მარტო ვერას გახდება. ამ მხრივ ვლადიმერ ბარქაიას მართლაც გაუმართლა. რეზო შარტავა გვყავს მხედველობაში, დიდ ფეხბურს არაერთი ნიჭიერი მოთამაშე რომ აღუზარდა პატარა გაგრაში: თუ გნებავთ, იგივე ვლადიმერ ბარქაია, გიორგი სიჭინავა, გოჩა გავაშელი, ომარ წოწორია, ვლადიმერ შელია და კიდევ, ალბათ, ამდენივე ნიჭიერი ყმაწვილი. ვ. ბარქაია მაინც გამორჩეული იყო, არა მარტო მათ შორის, არამედ საერთოდ, მთელ თბილისის „დინამოშიც“, ხომ ფაქტია, რომ ბარქაია ჩვენი კლუბის მთელი ისტორიის მანძილზე მისი ერთ-ერთი ყველაზე საზრიანი მოთამაშე გახლდათ.

ერთხელ ცნობილ მოსკოველ ჟურნალისტს ალექსანდრ სოსკინს, ამ მეტად სიმპათიურ, თავაზიან და ერუდირებულ კაცს, წამოსცდა თავისი წიგნის ფურცლებზე [illegible] სიტყვები: „შეიძლება ითქვას, რომ იური კუზნეცოვი (მოსკოვის „დინამო“ ო.ნ.) ფეხბურთის დიდოსტატია, მიხეილ მესხი კი... ოსტატობის კანდიდატი“. ავტორმა მოგვიანებით მოინანია ეს დაუფიქრებელი შედარება და ჩვენთან საუბრისას გულწრფელად აღიარა, რომ საქმე სინამდვილეში უფრო პირიქითაა, ცხადია, თუ წმინდა საფეხბურთო კლასს ავიღებთ: მე მხოლოდ საზრიანობას ვგულისხმობდიო!

ჟურნალისტებს გვიყვარს რაღაც მისტიური ციფრების გამონახვა და მოულოდნელი პარალელების აღმოჩენა. ერთმა კოლეგამ მიხეილ მესხს ამ ქვეყნად არსებული ყველა „11“ ციფრი მიაწერა, მეორემ — შოთა იამანიძეს ყველა „ექვსიანი“. წარმოიდგინეთ, რომ ვლადიმერ ბარქაიას საფეხბურთო ბიოგრაფიას მეტწილად ციფრი „7“ სდევს თან, თუმცა იგი „8“ ნომერი იყო. თავად განსაჯეთ: 1937 წელს დაიბადა, 1957 წელს მოვიდა თბილისის „დინამოში“, 1967 წელს წავიდა ჩვენი გუნდიდან, ჩემპიონატებში 227 მატჩი ჩაატარა, 67 ბურთი გაიტანა, საქართველოს ფეხბურთის ვეტერანთა კავშირს 1997 წლამდე ედგა სათავეში...

სამამულო ომის შემდეგ გაგრაში, რომ იტყვიან, ზღვისა და მთის გარდა მხოლოდ [illegible] სტადიონი იყო. ამ ზღვისპირა კოპწია პატარა მინდორზე მთელი გაგრელი ახალგაზრდობა იკრიბებოდა — ბიჭებიცა და, წარმოიდგინეთ, გოგოებიც. პირველნი, რა თქმა უნდა, ფეხბურთს თამაშობდნენ გაუთავებლად. აი, „ნაწნავებიანები“ კი თავიანთ საქმეს აკეთებდნენ — დაჭერობანას, დახუჭობანას და კლასობანას თა-

იხ. მე-4 გვ.

მოგონებები

როგორც «ლელოს» წინა ნომერში დაგპირდით. ვიწყებთ ცნობილი ჟურნალისტის. საჭადრაკო მიმომხილველის. საერთაშორისო არბიტრისა და ოსტატის თენგიზ გიორგაძის მოგონებების ბეჭდვას

ვიქტორ გოგლიძე

ვიქტორ გოგლიძე (1905-1964) იყო პირველი ქართველი ოსტატი ჭადრაკში, მრავალი დიდი ტურნირის მონაწილე და პრიზიორი, მთავარი მსაჯი, 1936-1963 წლებში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე. 1957 წელს მისი თაოსნობით თბილისში, პირველად საბჭოთა კავშირში, ბავშვთა სპეციალიზებული საჭადრაკო სკოლა გაიხსნა.

ვიქტორ გოგლიძე პირველად ვნახე 1935 წელს მოსკოვში, პირადად კი გავიცანი თბილისში 1940 წლის შემოდგომაზე.

1935 წლის გაზაფხულზე მოსკოვში დიდი საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობდა. ტურნირს შნოსა და ლაზათს აძლევდა კორიფეების ე. ლასკერის, რ. კაპაბლანკას, მ. ბოტვინიკის, ს. ფლორის და სხვების მონაწილეობა. ამ რჩეულთა შორის ვიქტორ გოგლიძეც იყო. მთელი მოსკოვი ამ ტურნირზე ლაპარაკობდა.

ამ დროს ვცხოვრობდი მოსკოვში. მამა ფოლადის ინსტიტუტს ამთავრებდა. მე უკვე ვიცოდი ჭადრაკის თამაში. წინა წელს, 9 წლისამ დავაქაშნიკე იგი. ძალიან რომ მომეწონა, მამამ ჭადრაკის კომპლექტი მიყიდა (მაშინ იგი საკმაოდ ძვირი ღირდა, ისიც სტუდენტური ოჯახისთვის). მთელ დღეებს სტუდქალაქის თანატოლებს ვეპაექრებოდი. ბიჭებმა „ჩვენი გოგლიძე“ შემარქვეს.

ერთხელაც მამას ვთხოვე წავეყვანე ტურნირზე და გამეცნო ის „ვილაც“ გოგლიძე. სურვილი ამისრულა. პუშკინის სახელობის მოსკოვის სახვითი ხელოვნების მუზეუმი, რომლის დარბაზებში მოჭადრაკეები თამაშობდნენ, მაყურებლებით პირთამდე სავსე დაგვიხვდა. თურმე იმ დღეს დასკვნითი ტურის შეხვედრები მიმდინარეობდა.

ჩემით დავიწყე გოგლიძის ძებნა. რაკი პირადად არასოდეს მენახა, მაგიდებზე მიკრულ წარწერებს ვკითხულობდი — ლილიენტალი, შტალბერგი, ბოტვინიკი, რაგოზინი... და აი, გოგლიძე. გამიხარდა, რომ ჩემით მივაგენი. მაგიდას ბრგე, გრუზაჭოჩრიანი, შავგვრემანი ვაჟკაცი უჯდა. მომეწონა. ვიქტორი ისე იყო გატაცებული ბრძოლით, რომ ერთხელაც არ ამდგარა. დიდხანს ვუცადეთ მე და მამამ პარტიის დამთავრებას, მაგრამ ამაოდ. გვიან იყო, ბავშვებს არ აჩერებდნენ დარბაზში, ჩვენც წამოვედით შინ. გული დამწყდა, რომ ბიჭებთან ვერ დავიტრაბახებდი გოგლიძე ვნახე-მეთქი.

1940 წლის შემოდგომიდან თბილისში ვცხოვრობდი. ჭადრაკის კლუბში მიცნობდნენ როგორც თანატოლებში საქართველოს ჩემპიონს. ეს ტიტული იმ ზაფხულს მოვიპოვე. ჩემპიონატში ზესტაფონის სახელით ვთამაშობდი რაკი რაიონის მოსწავლეთა შორის ჩემპიონი ვიყავი. ჰოდა, როგორც ჩემპიონი, კლუბის დირექტორმა, სათნო მანდილოსანმა და ჩინებულმა მოჭადრაკემ ვარვარა ზარგარიანმა „გოგლიძის სკოლაში“ ჩამწერა.

დანიშნულ დღეს პირველ მეცადინეობაზე შევიკრიბეთ ტარიელ ვადაჭკორია, ანდრო ლეკიშვილი, იური ტკაჩენკო და სხვები. დღესაც თვალწინ მიდგას ახოვანი მუქლურჯ კოსტუმსა და თეთრ პერანგში გამოწყობილი ვიქტორი. მან სია ამოიკითხა და ყველას გაგვეცნო.

სხვათა შორის, უკვე მეორე თუ მესამე მეცადინეობაზე ვიქტორმა „ლექციის“ წაკითხვა დამავალა — „ტარაშის დაცვა“. გამიკვირდა. ჩანს, ვილაცამ „დამაბეზღა“: ჭადრაკის წიგნების კითხვა უყვარსო. უკვე მაშინ ვაგროვებდი წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს. ბუკინისტებთანაც ვკიდულობდი.

მაგრამ მალე მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და „გოგლიძის სკოლა“ დაიხურა.

●

1941 წლის აპრილიდან, საქართველოს IV ჩემპიონატის შემდეგ, ვიქტორი აღარ მონაწილეობდა ტურნირებში. იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა. იმის დროც არ ჰქონდა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის სხდომები გაემართა, როგორც თავმჯდომარეს. ომისშემდგომ წლებში მან მხოლოდ სამჯერ მოიცალა ჭადრაკისთვის: 1946 წელს უმთავარმსაჯა საქართველოს VII ჩემპიონატს, პაულ კერესის მონაწილეობით რომ გაიმართა, 1949 წელს — სსრ კავშირის XVII ჩემპიონატს მოსკოვში, ხოლო 1950 წელს საბჭოთა მოჭადრაკეთა დელეგაციის თავკაცი იყო ბუდაპეშტში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირზე.

1953 წელს საბჭოთა კავშირში მომხდარი დიდი ფერისცვალება ვიქტორსაც შეეხო. იგი უმუშევარი დარჩა. სამუშაო რომ არავინ შესთავაზა, ჭადრაკს დაუბრუნდა.

1954-1955 წლებში ვიქტორი ტურნირებში მონაწილეობს. 1954 წელს რიგაში „დინამოს“ ღირსებას იცავდა სპორტსაზოგადოებათა საკავშირო გუნდურ პირველობაში, 1955 წელს ჯერ საქართველოს XVI ჩემპიონატში, მერე საკავშირო ზონალურ ტურნირში ითამაშა. აი, ამ ბოლო ორ ტურნირში ჩვენ პირველად და უკანასკნელად შევხვდით ერთმანეთს პირისპირ.

ვიქტორი ბუნებით ამაყი, პატივმოყვარე კაცი იყო. ამიტომ ეწყინა ჩემთან წაგება საქართველოს ჩემპიონატში. პოზიცია თანაბარი, საყაიმო გვქონდა, ყაიმი რომ შევთავაზე, წინადადება არ მიიღო. მერე უზუსტოდ ითამაშა და უპაიკოდ დარჩა. პარტია რომ დავამთავრეთ, მისაყვედურა: ყაიმი რომ არ შემოგეთავაზებინა, არ შევცდებოდიო. ზონალურ ტურნირში სწრაფად დავმარცხდი. მეფის გამბიტში ზედმეტად გაბედული ვიყავი. წაგება-მოგებას არ გაუფუჭებია ჩვენი კეთილი ურთიერთობა.

ამის მერე ვიქტორი აღარ მონაწილეობდა ტურნირში. ბოლო საპასუხისმგებლო პარტია მან ითამაშა 1959 წელს მოსკოვში სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, როცა ფინალური ტურნირის ერთ მატჩში ალექსანდრე ბლაგიძე შეცვალა. ეს პარტია მან წააგო, რასაც მტკივნეულად განიცდიდა. თავს კიცხავდა, რატომ ვითამაშეო.

საერთოდ, ვიქტორ გოგლიძე პროფესიულად არ მისდევდა ჭადრაკს. ცხოვრება იყო ისეთი. პროფესიონალი მოჭადრაკე, მით უმეტეს ოჯახიანი, თავს ვერ გაიტანდა. ამიტომ ვიქტორი მოყვარულის, ოღონდ დიდი მოყვარულის დონეზე იყო გატაცებული ჭადრაკით.

სალო ფლორს, ვიქტორის დიდ მეგობარს, უთქვამს ჩემთვის:

— ვიქტორს ჰქონდა დიდოსტატის მონაცემები, საკუთარ კარიერაზე რომ ეზრუნა, მაგრამ ცხოვრება ბოჭავდა და მისი მზიური ტალანტი ვერ გამობრწყინდა.

ვიქტორი სიამოვნებით თამაშობდა მსუბუქ პარტიებს. ასე იქმაყოფილებდა ჭადრაკის ჟინს. მინახავს მისი პაექრობა პაულ კერესთან თბილისში 1946 წელს.

●

1957 წელს ვიქტორმა მუშაობა დაიწყო. მისი თაოსნობით თბილისში, პირველად საბჭოთა კავშირში, გაიხსნა ბავშვთა სპეციალიზებული საჭადრაკო სკოლა. ყველა დიდი მოწონებით შეხვდა ამ კეთილ საქმეს. ვახტანგ კარსელაძემ, რომელიც პიონერთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტს თავკაცობდა, 20 მოწაფე გადასცა. სკოლაში, რომელიც „დინამოს“ ბაზაზე შეიქმნა, ვიქტორმა მწვრთნელებად თავისი მეგობრები — ჰენრიხ კასპარიანი, მიხეილ შიშოვი, პავლე ხიზანიშვილი და სხვები მიიწვია. ჩვენ მას „გოგლიძის აკადემია“ შევარქვით. ეს „აკადემია“ დღესაც არსებობს და ვიქტორ გოგლიძის სახელს ატარებს.

მახსენდება. იმ დროს ნონა გაფრინდაშვილი უმწვრთნელოდ დარჩა. ვიქტორმა წესების დარღვევით ნონასთვის „ერთმოწაფიანი ჯგუფი“ გახსნა და მწვრთნელობა მიხეილ შიშოვს დაავალა. ვიქტორს სწამდა, რომ ნონას უთუოდ დიდი მომავალი ჰქონდა.

ვიქტორმა გარდაცვალებამდე (22.9.1964) იმუშავა ამ სკოლის დირექტორად. იმ წლებში ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. მიყვარდა მასთან მისვლა: იხსენებდა ძველ მოჭადრაკეებს, შეხვედრებს კორიფეებთან... შინ რომ ვბრუნდებოდი, ყველაფერს ვიწერდი. მერე ამ ჩანაწერების მიხედვით შევადგინე წიგნი „ცხოვრება ვიქტორ გოგლიძისა“ (1985 წ.). ახლა კი ამ მოგონებებს ვწერ.

მაინტერესებდა როგორ გახდა პირველი ქართველი ოსტატი. ერთხელაც ვთხოვე ვიქტორს ემბნა ამის თაობაზე.

— თბილისში ნამდვილი საჭადრაკო ბუმი იყო, როცა საცხოვრებლად ჩამოვედი. იდგა 1925 წლის ზაფხული. ცხადია, მეც ჩავები საერთო ფერხულში. ფართო საზოგადოებრიობა დაინტერესდა ჭადრაკით. ეს იყო მოსკოვის პირველი დიდი საერთაშორისო ტურნირის გამოძახილი. — მიამბობდა ვიქტორი.

იმ წლებში (1926-1928 წწ.) თბილისისა და საქართველოს ჩემპიონატებს ვიგებდი სათავე. იმრავლა სტუმარ-მოჭადრაკემ რუსეთიდან. მათთან პაექრობაში დავწინაურდი. გამიჩნდნენ გულშემატკივრები. ყველაზე მეტად მქომაგობდა ცნობილი პოეტი პაოლო იაშვილი. მას ძალიან უყვარდა ჭადრაკი. როგორც თავად უთქვამს: 1914 წელს პეტერბურგში გამოჩენილ დიდოსტატთა ტურნირს დასწრებია ტიციან ტაბიძესთან, კოლაუ ნადირაძესთან და ვალერიან გაფრინდაშვილთან ერთად. იგი ოცნებობდა ქართველებს ჩვენი ოსტატი გვყოლოდა. თვალი მე დამადგა. მაგულიანებდა, მაგრძნობინებდა თავის დაინტერესებას.

1928 წელს პაოლომ მომიწყო მატჩი ცნობილ მოსკოველ ოსტატ ნიკოლოზ გრიგორიევთან სპორტის ოსტატის წოდებაზე. მართალი რომ ვთქვა, სათამაშოდ მზად არ ვიყავი. მატჩის ორგანიზაცია სწრაფად მოხდა, მაგრამ უარის თქმა არ შემეძლო, რადგან დიდ ზრუნვასა და სიყვარულს ვგრძნობდი. ვთამაშობდით მწერალთა სახლში, რაც, ცხადია, პაოლომ გაახერხა. აურაცხელი მაყურებელი გვყავდა. რაც შემეძლო, მოვინდომე. ბოლოს, მეათე პარტია რომ მომეგო, პაოლოს გავახარებდი და ოსტატიც გავხდებოდი, მაგრამ დავმარცხდი, თუმცა, როგორც თავად გრიგორიევმა თქვა, პარტია ყაიმით უნდა დამთავრებულიყო. წარუმატებლობამ როდი გაუტეხა გული პაოლოს, პირიქით, აქეთ მამშვიდებდა. მეტი იმუშავე და აუცილებლად კიდევ ერთ მატჩს მოგიწყობო.

1929 წელს თბილისში დიდო ბინა ცნობილმა მოსკოველმა ოსტატმა ვლადიმერ ნენაროკოვმა, რომელსაც სამი პარტია ჰქონდა მოგებული იმდროინდელ მსოფლიო ჩემპიონ ალიოხინთან. იმ წელს ნენაროკოვმა თბილისის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მისი თანხმობა რომ მიიღო ჩემთან მატჩის თამაშზე, პაოლომ საკავშირო ფედერაციაში დააჩქარა ნებართვა და 1930 წლის გაზაფხულზე შევხვდი ნენაროკოვს.

რა თქმა უნდა, ბრძოლაში კარგად მომზადებული ჩავები და შევძელი გამარჯვება — 7:4. პაოლოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მან საგანგებო წვეულება მოაწყო სასტუმრო „პალასის“ (ახლანდელი ხელოვნების მუზეუმი) რესტორანში, სადაც მოწინავე საზოგადოება მიიწვია. საზეიმო სუფრას დაესწრნენ ლადო გუდიაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ტიციან ტაბიძე, ვიქტორ დოლიძე, სანდრო ახმეტელი და სხვები. სამწუხაროდ, ყველა არ მახსოვს. ამ შეხვედრას ჩემი ორი მეგობარი ესწრებოდა საშა ფალავანდიშვილი და სოსო ბეგიაშვილი. როგორ შემიძლია იმის დავიწყება, რაც პაოლომ გამიკეთა.

პაოლო არც მერე მაკლებდა ყურადღებას. 1934 წელს ავსტრიელი ოსტატის ჰანს კმოხის მონაწილეობით ტურნირში რომ გავიმარჯვე, პაოლოს ამის აღსანიშნავი სუფრის თამადობა ვთხოვე. ეშმაკურად გამიღიმა და დამთანხმდა. თურმე სიურპრიზი ჰქონდა ჩაფიქრებული. მისმა ოქროპირობამ ყველა მოხიბლა. ჯერ ყველა გააოცა, როცა ავსტრიელ სტუმარს (მისი სადღეგრძელო ფრანგულად წარმოთქვა) მადლობა უთხრა ტურნირში მონაწილეობისათვის, მერე ტორტი მიართვა კრემისგან ჩამოსხმული პოზიციით. არც ეს დაგვავიწყდება კაცს. ბოლოს ისეთი ლექსი მიძღვნა, რომ ერთად შეადუღაბა პოეზია და ჭადრაკი. ალბათ გახსოვს მისი ბოლო სტრიქონები:

არავის არ სძინავს ისე აბნეულად
როგორც რომ ლექსის და ჭადრაკის
ოსტატებს!

ქართველ მოჭადრაკეებს ყოველთვის გვქომაგობდნენ ჩვენი მწერლები, პოეტები, მეცნიერები, მსახიობები... ყველას, ვისაც სწამდა ჭადრაკის სიბრძნე, ეამაყებოდა თავისი ერის შვილის წარმატებები.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ბარქაია

(მესამე გვერდიდან)

მაშობდნენ. სიომა ბარქაია იმხანად 13 წლისა თუ იქნებოდა. მეტწილად თავდასხმაში თამაშობდა, როგორც წესი, ცენტრში. ისე კი ზოგჯერ უფროსი ბიჭები მას „გაჭირვებისას“ კარშიც კი აყენებდნენ.

– იმხანად გაგრაში საგაზაფხულო შეკრებაზე სხვებზე ხშირად მოსკოვის „დინამო“ ჩამოდიოდა მეტად „მაღალი მწვრთნელის“ მიხაილ იაკუშინის თავკაცობით. რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ იგი მერე ჩემი მწვრთნელი გახდებოდა, – განაგრძობს ვლადიმერ ბარქაია, – კარგად მახსოვს ლევ იაშინის პირველი გამოჩენა გაგრის სტადიონზე. იგი მაშინ სულ ახალგაზრდა, გამოუცდელი ფეხბურთელი იყო. იაკუშინი მას, როგორც წესი, კარის უკან აყენებდა საგანგებოდ, რათა ყურადღებით ედევნებინა თვალი გუნდის ძირითადი მეკარეების – ხომიჩისა და სანაიასთვის, მათთ თამაში ესწავლა... მათი თამაშით. გაგრელი ბიჭები თვალს არ ვაშორებდით სახელგანთქმულ ფეხბურთელებს. შეიძლება ითქვას, ისინი იყვნენ ჩვენი პირველი მწვრნელები, ასე განსაჯეთ, ჩვენი „კოლექტიური“ მწვრთნელები.

მალე ბიჭებს ნამდვილი მწვრთნელიც გამოუჩნდათ. ეს იყო ყოფილი გაგრელი მოჭიდავე ალიოშა კობახიძე, ქალაქის სპორტსკოლას რომ ჩაუდგა სათავეში. სიომა და მისი მეგობრები სიამოვნებით მიიღო სპორტსკოლაში და მალე პირველ ოფიციალურ შეჯიბრებაზეც – აფხაზეთის ჭაბუკთა პირველობაზე – წაიყვანა სოხუმში. იმ წელს არა, მაგრამ მომდევნო წლებში ნორჩი გაგრელი ფეხბურთელები, როგორც წესი, წარმატებით თამაშობდნენ ამ ტურნირებში. ერთხელ აფხაზეთის ჩემპიონებიც გახდნენ, ორჯერ კი პრიზიორები იყვნენ. გაგრის „ტორპედოს“ მწვრთნელი რევაზ შარტავა კარგა ხანია აკვირდებოდა ვ. ბარქაიას და ბოლოს თავის გუნდში აიყვანა. სიომა მაშინ 16 წლისა იყო. დიდების გუნდში შუამარბად დააყენეს – ხან მარჯვნივ თამაშობდა (8 ნომრად), ხან მარცხნივ (№10). უფროსი გაგრელი ფეხბურთელებიც აფხაზეთის ჩემპიონები გახდნენ და თასიც მოიპოვეს, მერე პროფკავშირთა ტურნირიც მოიგეს.

– ერთი სიტყვით, რა პრიზიც კი გათამაშდა, ყველაფერი გაგრაში წამოვიღეთ! – იხსენებს ჩვენი რედაქციის ძველი მეგობარი, ყოფილი გაგრელი ფეხბურთელი ნოდარ გვასალია, მოგვიანებით წლების განმავლობაში (17 წელიწადი) გაგრის სპორტკომიტეტს რომ ედგა სათავეში – ჩვენს გუნდში ვლადიმერ ბარქაიას გარდა გამოირჩეოდნენ მეკარე უშანგი ჯანგველაძე, მცველები იური უსტაბაშიძე (მომავალი თბილისის დინამოელი), გივი კაკულია და ჯემალ ალექსანდრია, თავდამსხმელები შოთა სიჭინავა (მოგვიანებით ისიც თბილისის „დინამოში“ მოიღეს), ჯიმი დოლბაია და კოტე ფაჩულია (მერე ნოვოჩერკასკში თამაშობდა). ყველანი ნიჭიერი ფეხბურთელები იყვნენ. რაც შეეხება ბარქაიას, იგი იმთავითვე გამოირჩეოდა თანაგუნდელებისაგან, მეტად ტექნიკურად, გაზრებულად, მე ვიტყოდი, „ცბიერად“ თამაშობდა.

შემოდგომაზე სოხუმსა და გაგრაში ტრადიციულად ნიჭიერ ფეხბურთელთა შესარჩევი მატჩები იმართებოდა. სელექციონერთა ჯგუფს თვით ანდრო ჟორდანია მეთაურობდა. პირველსავე დანახვისას ისე მოეწონა გაგრელთა გუნდი, რომ მერე მათ არც ერთ თამაშს არ აცდენდა. განსაკუთრებით მოსწონდა მეთერთმეტეკლასელი ვ. ბარქაია და აკი აიყვანა კიდეც საქართველოს ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლების („ფშმ“) ნაკრებში, რომელიც ლენინგრადის საკავშირო ტურნირისათვის ემზადებოდა. ჩვენს გუნდში ვლადიმერ ბარქაიასთან ერთად თამაშობდნენ ანზორ კვაჭაძე, რობერტ ჭანჭალეიშვილი, „გოჭო“ უნგიაძე, ანატოლი ივანოვი, გუნდის კაპიტნად ზურაბ სოტკილავა აირჩიეს, საოპერო სცენის მომავალი მშვენება. 1956 წლის სეზონი იდგა. ჩვენმა გუნდმა ძლიერად ჩაატარა ტურნირი, ფინალში 2-0 მოუგო უკრაინის ნაკრებს (მასში ახალგაზრდა ანდრეი ბიბაც თამაშობდა) და ჩემპიონის წოდებით დაბრუნდა თბილისში.

მანამდე კი ვ. ბარქაია... კინაღამ კიევის დინამოელი გახდა. სეზონის წინ, საგაზაფხულო შეკრებაზე, შავი ზღვის სანაპიროზე მყოფი კიეველთა გუნდის მაშინდელ უფროს მწვრთნელს ოლეგ ოშენკოვს ისე მოეწონა ნიჭიერი გაგრელი ფეხბურთელი, რომ ეწვია კიდეც ბარქაიების ოჯახს, რათა კიევში წაყვანა შეეთავაზებინა. სიომას დედ-მამამ უთხრა, რომ წელს ბიჭმა ინსტიტუტში უნდა ჩააბაროს მისაღები გამოცდები (მშობლები შვილის იურისტობაზე ოცნებობდნენ). ამაზე მწვრთნელმა მიუგო, რომ მათ შვილს კიევის ნებისმიერ ინსტიტუტში მოაწყობდა. თითქოს შეთანხმდნენ კიდეც, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ, სულ რაღაც სამ თვეში სიომა უკრაინის დედაქალაქს გაემგზავრებოდა, მაგრამ... ანდრო ჟორდანიამ, როგორც სპორტში იტყვიან, მოულოდნელად „ჩაჭრა გადაცემა“: ინსტიტუტსა და უნივერსიტეტში მე თვითონ მოვაწყობ, მხოლოდ თბილისში – უთხრა „დიავოლამ“ ვ. ბარქაიას და იქვე საჩუქრად ხალხთა I სპარტაკიადიდან ჩამოტანილი საქართველოს სპორტული დელეგაციის საზეიმო ფორმა უსახსოვრა – „შენ საქართველოს ღირსება უნდა დაიცვაო!“ ასე მოხვდა ვ. ბარქაია ა. ჟორდანიას „ფშმ“-ში, რომლის შესახებ ზემოთ მოგახსენეთ. რომ იტყვიან, იგი ჩრდილოეთისაკენ მიმავალი მატარებლის ნაცვლად სულ სხვა მიმართულებით მიმავალ მატარებელში ჩაჯდა! იმავე, 1956 წლის შემოდგომაზე თბილისში ჩატარდა ნიჭიერ ფეხბურთელთა შესარჩევი ტურნირი. ვ. ბარქაია აფხაზეთის ნაკრებში გამოდიოდა თანაქალაქელ შოთა სიჭინავასთან, სოხუმელ სარქის ოვივიანთან (მერე რომ მოსკოვის „სპარტაკში“ გამოდიოდა) და ალიკ ჩიხლაძესთან ერთად.

პირველი მატჩი ბარქაიას თბილისის დინამოელთა შემადგენლობაში მოსკოვის „ტორპედოსთან“ ჰქონდა. ეს იყო ამხანაგური შეხვედრა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე. სიომა (იგი მე-10 ნომრით თამაშობდა) არ შეუშინდა ავტორიტეტებს და გოლიც გაიტანა ალბერტ დენისენკოს კარში.

– ანდრო ზაზროევთან გავითამაშე სწრაფი კომბინაცია და საჯარიმოს მისადგომებიდან ბურთი ბადეში გავგზავნე. ეს ჩრდილოეთის მხარეს, საათიანი ტრიბუნისაკენ მდებარე კარში იყო! – აზუსტებს ვ. ბარქაია.

დავუმატებთ, რომ იმ დღეს დინამოელთა დებიუტანტის პარტნიორები იყვნენ თვით ავთანდილ ღოღობერიძე (გუნდის კაპიტანი), ვლადიმერ მარღანია, ვლადიმერ ელოშვილი, ნიაზ ძიაპშიპა, გივი ხოჭოლავა, ალიოშა კოტრიკაძე, კონსტანტინე გაგნიძე, ანდრო ზაზროევი, ზაურ კალოევი და ავთანდილ ჭკუასელი.

იმავე წლის 25 ნოემბერს თბილისში თეირანის ნაკრებმა ითამაშა „დინამოსთან“. 3-0 დავამარცხეთ ირანელი სტუმრები. ჩვენი გუნდის უფროსმა მწვრთნელმა გაიოზ ჯეჯელავამ ვლადიმერ ბარქაიაც ათამაშა ამ თავის პირველ საერთაშორისო მატჩში. მომდევნო სეზონის დასაწყისში დინამოელები ბირმაში გაემგზავრნენ. იქ ისინი რანგუნში ქვეყნის პირველ და მეორე ნაკრებებს შეხვდნენ. ორივე მატჩში ვ. ბარქაიაც მონაწილეობდა. პირველი შეხვედრა ჩვენმა ფეხბურთელებმა ასტრონომიული ანგარიშით – 9-1 მოიგეს.

იმ დღეს თითქმის ყველა დინამოელმა გაიტანა გოლი. მატჩს ბირმის პრეზიდენტი უ ნუ ესწრებოდა.

1957 წლის საზაფხულო სეზონიდან 20 წლის ვ. ბარქაიამ თბილისის „დინამოს“ ოფიციალურ მატჩებში დაიწყო თამაში. იგი 10 წელიწადი გამოდიოდა ჩვენს გუნდში.

– 1967 წლის ჩემპიონატის დასაწყისში ისევ მოსკოვის ტორპედოელების წინააღმდეგ მომიწია თამაში თბილისში. 0-1 ვაგებდით. ჩვენი გუნდის ახალმა უფროსმა მწვრთნელმა ვიაჩესლავ სოლოვიოვმა მითხრა: „გაიხადე, სიომა, ფეხბურთელის მაისური და... მწვრთნელის მაისური ჩაიცვი!“

დიდი ფეხბურთიდან გაცილება. მარცხნიდან – მ. ხურცილავა, ვ. ჭელიძე, ი. დათუნაშვილი, ვ. ბარქაია, გ. სიჭინავა, ნ. მაისურაძე. *მიხეილ ზარგარიანის ფოტო.*

ვ. ბარქაია გივი ჩოხელთან ერთად თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი გახდა. ამ თანამდებობაზე იგი ორნახევარი წელიწადი მუშაობდა. შეგახსენებთ, რომ დინამოელები ამ პერიოდში ორჯერ იყვნენ ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები, რაც ჩვენს გუნდში თაობათა ცვლას დაემთხვა.

29 წლისამ დაანება თავი თამაშს ვ. ბარქაიამ, მენისკის ოპერაცია ჰქონდა გასაკეთებელი, დიდი ფეხბურთიდან საზეიმოდ 25 მაისს გააცილეს კიევის „დინამოსთან“ მატჩის დღეს.

როდესაც ვლადიმერ ბარქაიაზე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ ოთხ მატჩს იხსენებენ პირველ ყოვლისა. თუ ქრონოლოგიურად მივყვებით მოვლენებს, მაშინ ჯერ 1959 წლის შეხვედრაზე უნდა ვისაუბროთ, მოსკოვის „სპარტაკთან“ რომ გაიმართა ლუჟნიკში. ანდრო ჟორდანია ჩვენს გუნდში ახალი დანიშნული იყო. 1-3 ვაგებდით და... 5-4 მოვიგეთ. ვ. ბარქაიამ იმ დღეს მართლაც დიდებულად ითამაშა, სამი ბურთი გაგზავნა მეტოქის კარში, მერე ა. ღოღობერიძემ გამარჯვების გოლი გაიტანა. კოკისპირულად წვიმდა მეორე ტაიმში, მაგრამ კაციშვილი არ ტოვებდა ტრიბუნას. ცხადია, ყველა სპარტაკელებს უჭერდა მხარს, მაგრამ ანგარიშის გათანაბრების შემდეგ, მოსკოველმა გულშემატკივრებმა ერთბაშად შეცვალეს ქომაგობის ობიექტი და ახლა გაუთავებლად სკანდირებდნენ: „დავაი, „დინამო“, დავაი!“. იმ დღეს ყველა კარგად თამაშობდა, მაგრამ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ღოღობერიძე, იამანიძე , მესხი და ბარქაია. ამ თამაშის შემდეგ, შეიძლება ითქვას, დაიწყო ჩვენი გუნდის წინსვლა, წინა სეზონის მე-9 ადგილიდან მესამეზე გავედით.

მეორე მატჩი ვ. ბარქაიას მონაწილეობით იყო ფინალური ასპარეზობა თასზე 1960 წლის 31 ოქტომბერს მოსკოვის „ტორპედოსთან“. ვ. ბარქაიას იმ დღეს მართლაც ბადალი არ ჰყავდა. ყინვისაგან გათოშილი ტრიბუნები მხურვალე ტაშს უკრავდნენ ქართველი ფეხბურთელის დიდოსტატურ თამაშს. თუმცა მაინც დავმარცხდით (3-4) კიეველი არბიტრის ა. ცაპოვეცკის წყალობით.

მესამე მატჩი 1962 წლის 2 სექტემბერს გაიმართა თბილისში. მოსკოველ თანაკლუბელებს ვხვდებოდით მეორე წრეში. 0-1 წავაგეთ პირველი ტაიმი. შესვენების შემდეგ ვ. ბარქაიამ ლევ იაშინის კარში შორი მანძილიდან ულამაზესი გოლი გაიტანა და თამაში ფრედ (1-1) დამთავრდა. აი რას წერდა ამ მატჩის შესახებ ჩვენი გაზეთი: „ვ. ბარქაიამ კომბინაცია შეუჩერებლად, მათემატიკური სიზუსტით დაამთავრა, მან ამ დღეს შესანიშნავი გოლი გაიტანა, რომელზეც მხოლოდ შეიძლება იოცნებოს უმაღლესი კლასის ფორვარდმა“.

აი, მეოთხე მატჩიც. იგი 1965 წლის 27 ივნისს გაიმართა ლუჟნიკში დანიის გუნდთან. სსრ კავშირის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში დიდი ანგარიშით 6-0 გაიმარჯვა, ვლადიმერ ბარქაიამ მაშინ 2 გოლი გაიტანა.

– გულშემატკივრები ხშირად იხსენებენ ამ მატჩს, ალბათ იმიტომ, რომ იგი ასტრონომიული ანგარიშით მოვიგეთ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ დანიის გუნდი არ იყო მაინცდამაინც ძლიერი, იგი უფრო საშუალო სამოყვარულო კლასის კოლექტივი იყო (მასში მხოლოდ ერთი პროფესიონალი ფეხბურთელი იყო ცენტრალური თავდამსხმელი მადსენი). მახსოვს სტუმართა გუნდში ერთდროულად 5 ჰანსენი თამაშობდა, რომელთაგან ოთხი დაცვის ხაზს წარმოადგენდა სრულად. ამ დღეს მეტრეველმა და მესხმა თითო ლამაზი გოლი გაიტანეს.

არის კიდევ ერთი მატჩი, თუ გნებავთ, რიგით მეხუთე, რომელიც დღესაც არ ავიწყდებათ ძველ გულშემატკივრებს. ესაა 1965 წლის 4 ივლისის ამხანაგური შეხვედრა ბრაზილიის ნაკრებთან ლუჟნიკში, 0-3 რომ წააგო საბჭოთა გუნდმა. ვერ ვიტყვით, რომ ამ დღეს ვ. ბარქაიამ მაინცდამაინც კარგად ითამაშა. თავად რომ შეეკითხოთ, გიპასუხებთ, რომ ამ მატჩში იგი საერთოდ არ თამაშობდა – „ვიდექი და პელეს დიდებული გუნდის ფეხბურთს ვუყურებდიო! მის გარდა ყველაზე მეტად ჟერსონი მომეწონა. აი, გარინჩამ კი, სამწუხაროდ, სულ რამდენიმე წუთი დაჰყო მინდორზე შეხვედრის ბოლოს, ისიც მაყურებელთა დაჟინებული მოთხოვნით გამოიყვანა ფეოლამ. რაც შემეხება მე, ამ დღეს ფაქტობრივად ნახევარდაცვაში მომიწია თამაში, რაც ჩემთვის უჩვეულო იყო. ცხადია, მოგების იმედი არ გვქონდა, მაგრამ უფრო მოკრძალებულ ანგარიშს მოველოდით. წინა დღეს ბრაზილიელთა ვარჯიშს, უფრო ზუსტად კი მოთელვას, დავესწარით ლუჟნიკში. პელეს თამაში მანამდე საერთოდ არ მენახა. რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ იგი დიდი ფეხბურთელი იყო, მაგრამ ასეთი ჯადოქარი მართლაც არ მეგონა!“



იგორ სოკოლოვის შარჟი

ალბათ, ბევრ გულშემატკივარს უნახავს ის ცნობილი ფოტოსურათი, რომელზეც პელე ქართველი ფეხბურთელების გარემოცვაშია გადაღებული – გიორგი სიჭინავასთან, სლავა მეტრეველთან, ანზორ კავაზაშვილთან, მიხეილ მესხთან. სამწუხაროდ, სურათზე არ არის ვლადიმერ ბარქაია. საქმე ისაა, რომ იგი იმ დროს უკვე გასული იყო მინდვრიდან – მეორე ტაიმში ანდრეი ბიბამ შეცვალა.

კარგა ხანია ვლადიმერ ბარქაიამ მიატოვა მწვანე მინდორი. მას შემდეგ იგი, როგორც ცნობილია, ჯერ მშობლიური კლუბის მწვრთნელად მუშაობდა, მერე ლესელიძის პანსიონატ „სპორტის“ დირექტორი იყო, გაგრის საფეხბურთო სკოლის ხელმძღვანელი, ადგილობრივი მაცივრის დირექტორი, სანატორიუმ „თბილისის“ მთავარი ექიმის მოადგილე, „დინამოს“ საწვრთნელი ბაზის დირექტორი ალახაძეში, საქართველოს მინისტრთა საბჭოს სამეურნეო განყოფილების მუშაკი, საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი, ბოლო 6 წლის განმავლობაში საზოგადოებრივ საწყისებზე საქართველოს ფეხბურთის ვეტერანთა კავშირს თავკაცობდა...

სამი შვილის მამა და სამი შვილიშვილის პაპა, დღეს 60 წლისაა. ვლადიმერ ბარქაია 1937 წლის 29 ივლისს დაიბადა. ოცნებობს მშობლიურ გაგრაში, მამაპაპისეულ კერაში დაბრუნებაზე.

– დიდი სიხარულით ჩავივლიდი ნაცნობ სანაპიროზე მარადმწვანე პალმებსა და კვიპაროსებში, სიამოვნებით გავიდოდი ჩემს საყვარელ სტადიონზე ზღვისპირას, ერთი-ორჯერ მეც დავარტყამდი ბურთს ფეხს ჩემს მეგობრებთან ჟორა სიჭინავასთან, გოჩა გავაშელთან და ... ჩემს 2 წლის შვილიშვილ დევისთან ერთად.

იმედით ცოცხლობს კაცი!

ოთარ ნოზაძე

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

„როცა ფხიზელია, ძალიან კარგია“

ბრაიან ლაუდრუპმა, რომელიც წარსული სეზონის №1 ფეხბურთელად აღიარეს შოტლანდიის ლიგაში, ჟურნალისტებთან საუბარში სინანული გამოთქვა პოლ გასქოინის საქციელის გამო.

– იგი ერთ-ერთი უნიჭიერესია ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში. მაგრამ თავისთვისაც უბედურება მოაქვს და კლუბისთვისაც, ისე არ ცხოვრობს, როგორც სპორტსმენს შეეფერება. მინდა ვირწმუნო, ის მიხვდება, რომ თავს ილუპავს, როცა ფხიზელია, ძალიან კარგია. „გლაზგო-რეინჯერსის“ ყველა მოთამაშეს უყვარს. ბოლო სეზონში კი სარგებლობა არ მოუტანია. გასქოინი 29 წლისაა, და მისი ცხოვრების წესით ძალიან ძნელია ტრავმის თავიდან აცილება, კარგი მზადყოფნის შენარჩუნება.

ორი ნიგერიელი „აიაქსში“

იმ ახალ ფეხბურთელებს შორის, რომლებიც ამსტერდამის „აიაქსში“ ჩაირიცხნენ, არის ნიგერიის ნაკრების 22 წლის ნახევარმცველი სანდეი ოლისეც. იგი ბუნდესლიგის „კიოლნში“ გამოდიოდა, სადაც იტალიის „რეჯანადან“ გადავიდა. „აიაქსში“, ადრე, როგორც ცნობილია, თამაშობდნენ მისი თანამემამულეები ნვანკვო კანუ და ფინიდი ჯორჯი, ახლა კი ოლისესთან ერთად ტიჯანი ბაბანგიდაც გამოდის, რომელმაც კარგად ჩაატარა უკანასკნელი სეზონი.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ – ფავორიტი

ლონდონელი ბუკმეკერები ინგლისის 1997-98 წლების ჩემპიონატის ფავორიტად „მანჩესტერ იუნაიტედს“ თვლიან. იმის შესაძლებლობა, რომ იგი ჩემპიონობას შეინარჩუნებს, ასეთი შეფარდებით გამოიხატება – 11:8. „ლივერპულისა“ და „ნიუკასლ იუნაიტედის“ შანსები ჩემპიონის წოდებისათვის ბრძოლაში ასე გამოიხატება – 4:1. შემდეგ მოდის „არსენალი“ – 9:2 და „ჩელსი“ – 14:1. „ბარნსლი“ პირველად ამოჩნდა უმაღლეს ლიგაში. მის შესაძლებლობებს, გახდეს ჩემპიონი, ასე ნეგატიურად აფასებენ – 1000:1.

როგორია ჩემპიონატების შედეგიანობა?

ანუ რამდენი გოლი გადიოდა საშუალოდ ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების მატჩებში?

აი სრულია სია: 1. ნორვეგია – 3,51. 2. სომხეთი – 3,48. 3. ფარერები – 3.43. 4. უელსი – 3,35. 5. ლუქსემბურგი – 3,34. 6. მოლდოვა – 3,22. 7. მალტა – 3,20. 8. საქართველო – 3,15. 9. კვიპროსი – 3,10. 10. ისლანდია – 3,09. 11. დანია – 3.08. 12. ლატვია – 3. 13. გერმანია – 2,98. 14. ბულგარეთი – 2,91. 15. ბელგია – 2.90. 16. თურქეთი – 2,87. 17. მაკედონია – 2,85. 18. რუმინეთი – 2,85. 19. ჰოლანდია – 2,81. 20. ესტონეთი – 2,80, 21. შოტლანდია – 2,79. 22. ესპანეთი – 2,75. 23. უნგრეთი – 2,74. 24. ხორვატია – 2.70. 25. ბელორუსია – 2.69. 26. იუგოსლავია – 2,68. 27. შვეცია – 2,65. 28. იტალია – 2.64. 29. სლოვენია – 2,62. 30. რუსეთი – 2,62. 31. უკრაინა – 2,59. 32. ინგლისი – 2,55. 33. შვეიცარია – 2,55. 34. საბერძნეთი – 2,54. 35. ფინეთი – 2.54. 36. სლოვაკეთი – 2.52. 37. ავსტრია – 2.51. 38. ლიტვა – 2.49. 39. პორტუგალია – 2.48. 40. ირლანდია – 2,45. 41. ჩრდ. ირლანდია – 2,40. 42. ისრაელი – 2.40. 43. ჩეხეთი – 2.38. 44. საფრანგეთი – 2,32.

მარიო ზაგალო: მაკრიტიკებენ იმისათვის, რომ ვიმარჯვებთ!

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი. 66 წლის *მარიო ჟორჟე «ლობო»* ზაგალო მეტად საინტერესო და მიმზიდველი პიროვნებაა. ჯერ ერთი, იგი მსოფლიოს საუკეთესო გუნდის მწვრთნელია. მეორე მხრივ, ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი ადამიანია (1958 და 1962 წლებში ზაგალო მსოფლიოს ჩემპიონი გახდა როგორც მოთამაშე, 70-ში — როგორც მთავარი მწვრთნელი და ბოლოს, 94-ში — როგორც მწვრთნელი-კონსულტანტი). ამავე დროს, ზაგალოს პიროვნება ძალზე არაერთგვაროვანია. იგი მსოფლიოს საუკეთესო გუნდის მწვრთნელი, ბრაზილიური პრესის მუდმივი წნეხის ქვეშაა. ჟურნალ «გლობოსთვის» მიცემული ინტერვიუ მან სწორედ ჟურნალისტებთან ურთიერთობით დაიწყო:

– ვერ გამიგია, რა უნდათ ჩემგან. სულ ახლახანს დიდი გამარჯვება ვიზეიმეთ – ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ პირველად მოვიგეთ ამერიკის თასი, ჟურნალ-გაზეთებში კი ჩემი ლანძღვა არ ნელდება.

● *ვერ იტანთ კრიტიკას?*

– ამდენი გამარჯვება მოვიპოვეთ და მაინც გრძელდება ჩემი და გუნდის კრიტიკა. ასეთია ბრაზილიური საფეხბურთო პრესის ტრადიციები. მაგრამ კრიტიკასაც გააჩნია. თუ იგი კონსტრუქციულია, ყოველთვის ყურადღებით ვეკიდები, ვაანალიზებ, მაგრამ რა ვუყო იმ უარგუმენტო, დაუსაბუთებელ ბრალდებებს? დღეს სწორედ ასეთი სჭარბობს. მგონი, იმიტომაც ვეჯავრები ბევრს, გამარჯვებებს რომ ვაღწევ. ბუნებით ამაყი ვარ, რომელიც მხოლოდ თავისი სამსახურით ცოცხლობს, ამიტომაა მტკივნეული მოვისმინო ასეთი აბსურდული მონაჩმახი.

● *„კოპა ამერიკაზე“, ოპონენტთა აზრით, გაუმართლებელი ექსპერიმენტები განახორციელეთ.*

– დიახ, ჯგუფურ ტურნირში მიმდინარეობდა ტაქტიკური ძიების პროცესი. ასეთი რამ აუცილებელია ნებისმიერი შეჯიბრების საწყის ეტაპზე. მოვსინჯე წინწაწეული ნახევარმცველით თამაშის სქემა, შემდეგ რამდენიმე ცვლილებაც განვახორციელე. ბოლოს დავუბრუნდით 4+4+2 ტრადიციულ სქემას, უფრო ზუსტად ვითამაშეთ 4+2+2+2 განლაგებით, რომელიც დღეისათვის ჩვენთვის ოპტიმალურია. მაშასადამე, გუნდის თამაშის ხარისხი თანდათან პროგრესს განიცდიდა, სხვა რაღა გინდათ?

● *რაკი ძიებას აგრძელებთ, ე.ი. გუნდი მოუმზადებელია, წინ კი მსოფლიო ჩემპიონატია.*

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა სამეული (მარცხნიდან): კარლო პრიმა, მარიო ზაგალო, ამერიკო ფარია

– ნუ დაივიწყებთ, რომ ბოლივიაში პირველი მატჩი საფრანგეთის ტურნირის დამთავრების მესამე დღეს ჩავატარეთ. ევროპული გუნდების სათამაშო მანერა მკვეთრად განსხვავდება ლათინოამერიკელებისაგან. ნუ დაივიწყებთ საფრანგეთისა და ბოლივიის განსხვავებულ კლიმატურ პირობებსაც.

● *კონკრეტულად რას იტყოდით მოთამაშეებზე?*

– დღევანდელ ფეხბურთში ხშირად იგებს ის, ვინაც მინდვრის შუაგულს დაეპატრონება. ამიტომ ექსპერიმენტებს, განსაკუთრებით ნახევარდაცვის თამაშის სრულყოფის მიზნით ვახორციელებთ. ძალიან კმაყოფილი ვარ ლეონარდოს გამოსვლით – ბოლო წელიწადს მან თამაშს უმატა, უფრო დაბრძენდა, მოერგო სხვადასხვა სათამაშო სქემას. ძლიერად გამოიყურებოდა მეორე ნახევარმცველი – დენილსონიც. თავის კლუბ „სან-პაულუში“ იგი მარცხენა განაპირა ნახევარმცველის პოზიციაზე გამოდის, მაგრამ ნაკრებში ასეთი ამპლუა არ გვაქვს, ხოლო ფლანგს აკონტროლებს რობერტო კარლუში ან სხვა განაპირა მცველი. ამიტომ დენილსონი ნახევარდაცვის შუაგულში დავაყენე და ვხედავ, რომ არ შევმცდარვარ.

● *რიგ მატჩებში სუსტად გამოიყურებოდნენ მცველები, განსაკუთრებით ალდაირი.*

– ვერ დაგეთანხმებით. ალდაირი კარგი მცველია. კი, ზოგიერთ მატჩში, განსაკუთრებით მექსიკის წინააღმდეგ, ცენტრალური მცველები შეცდომებით თამაშობდნენ, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ სწორედ ალდაირმა გაუტანა იგივე მექსიკელებს საპასუხო გოლი.

● *თავდამსხმელებზე რას იტყვით?*

– მათთან დიდი პრეტენზიები არ მაქვს. რონალდოცა და რომარიოც აქტიურად მოქმედებდნენ. მათ არც შეცვლაზე გამოსული ედმუნდო ჩამოუვარდებოდა. კარგია, რომ მათ შორის ჯანსაღი კონკურენციაა.

● *მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე წელიწადზე ნაკლები დრო დარჩა. რაში ხედავთ გუნდის თამაშის გაუმჯობესების რეზერვებს?*

– ჩემი აზრით, სწორ გზაზე ვდგავართ. ეს ნათლად დავინახეთ თუნდაც პარაგვაისთან მატჩში. გუნდი ფეხბურთის ყველა კომპონენტში საუცხოოდ გამოიყურებოდა.

თქვენ თამაშის გაძლიერებაზე ბრძანეთ – იდეალური გუნდები არ არსებობს, შევეცდებით ისეთი გუნდით წარვსდგეთ საფრანგეთში, რომელიც კვლავ ჩემპიონის ტიტულს მოგვაპოვებინებს..

● *რა გეგმით მოემზადებით საფრანგეთისათვის?*

– 10-13 აგვისტოს სეულსა და ტოკიოში ვითამაშებთ ამხანაგურ მატჩებს სამხრეთ კორეისა და იაპონიის ნაკრებებთან. 8 სექტემბერს, 10 ოქტომბერსა და 12 ნოემბერს კიდევ გავმართავთ მატჩებს (მეტოქეები მალე გაირკვევა). 6 დეკემბერს კეიპტაუნში შევეჯიბრებით სამხრეთაფრიკელებს, 12-21 დეკემბერს გამოვალთ მეფე ფახდის თასის გათამაშებაში (12-ში ვთამაშობთ საუდის არაბეთთან, 14-ში – ავსტრალიასთან, 16-ში – მექსიკასთან, 19-ში – ნახევარფინალები, 21-ში – ფინალი.

დუნგა (მარცხნივ) და რონალდო – ზაგალო მათზე დიდ იმედებს ამყარებს

P.S. უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ბრაზილიელები აზიური ტურნესთვის სამზადისს შეუდგნენ. ზაგალომ გუნდი გადაახალისა. მასში სამი ახალწვეულია, მოხდა სხვა ცვლილებებიც. როგორც იქნა, ზაგალომ მას-მედიის სურვილი გაითვალისწინა და ნაკრებში სონი ანდერსონი იხმო – ბოლო წლებში იგი საფრანგეთის ჩემპიონატში ბრწყინავდა, ახლა კი „ბარსელონას“ საკუთრებაა. „სან-პაულუს“ გუნდიდან ზაგალომ გამოუძახა თავდამსხმელ დოდოს (იგი წელს შტატის ჩემპიონატის ბომბარდირია 19 გატანილი გოლით), სახელგანთქმულ რომარიოს კი დასვენების უფლება მისცა. ნაკრების ახალწვეულია „ფლამენგოს“ მცველი ჟუნიორ ბაიანო.

აზიური ტურნესათვის ზაგალომ ნაკრებში დააბრუნა მადრიდის „ატლეტიკოს“ ნახევარმცველი ჟუნინიო, „დეპორტივოს“ ფორვარდი რივალდო და ანდრე კრუზი „ნაპოლიდან“, რომელიც ბრაზილიის ღირსებას იცავდა 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში.

შესარჩევი ტურნირი

ბომბარდირები, გოლები...

საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი 20 აგვისტოს განახლდება, მანამდე კი საზღვარგარეთის საინფორმაციო საშუალებებმა გამოაქვეყნეს ამ ტურნირის ბომბარდირთა სია, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

ევროპა

სავა მილოშევიჩი (იუგოსლავია) — 7
გეორგე პოპესკუ (რუმინეთი) — 7
დენის ბერგკამპი (ჰოლანდია) — 6
პრედრაგ მიატოვიჩი (იუგოსლავია) — 6
კენეტ ანდერსონი (შვედეთი) — 6

ივან სამორანო

სამხრეთ ამერიკა

ივან სამორანო (ჩილე) — 12
ფაუსტინიო ასპრილია (კოლუმბია) — 6
მარსელო სალასი (ჩილე) — 6

აზია

კარიმ ბაგერი (ირანი) — 12
კაძუ მიურა (იაპონია) — 11

აფრიკა

ადელ სელიმი (ტუნისი) — 5
ვიტალის ტაკავირა (ზიმბაბვე) — 5
ანტონიუ ალვიში (ანგოლა) — 5

კონკაკაფი

კარლოს ერმოსილიო (მექსიკა) — 9
რაულ დიას არსე (სალვადორი) — 7
ლასარო დალქური (კუბა) — 6

ოკეანეთი

ნოელ ბერი (სოლომონის კ-ბი) — 7
ჯონ ალიოზი (ავსტრალია) — 6

დარასელია-უმცროსს ბელგიაში ეპატიჟებიან

კვიცი გვარზე ხტისო, ამაზეა ნათქვამი — სახელგანთქმული ვიტალი დარასელიას ვაჟს ლიეჟის „სტანდარდი“ ეპატიჟება. „ლელოს“ აუქციონში შეგატყობინეთ, რომ ბათუმის „დინამოდან“ ვიტალი-უმცროსი უკრაინის „ცსკა-ბორისფენში“ გადაბარგდა და ამ გუნდის წამყვანი მოთამაშეც გახდა. აქ მისი თამაშით ბელგიელი სელექციონერები მოხიბლულან და ჩვენებურისთვის „სტანდარდში“ გადასვლა შეუთავაზებიათ — ჩამოდი და გასინჯვის გარეშე ორწლიან კონტრაქტზე მოაწერე ხელიო. როგორც შევიტყვეთ, 19 წლის ვიტალის სხვა წინადადებებიც აქვს, თუ რომელს აირჩევს, მალე შევიტყობთ.

ევერტონში ქართველები ერთმანეთის პირისპირ დადგნენ

ახალი საფეხბურთო სეზონის წინ ლივერპულის „გუდისონ პარკის“ სტადიონზე ოთხთა ტურნირი გაიმართა, რომელშიც ცნობილმა საფეხბურთო კლუბებმა „ევერტონმა“, „ნიუკასლმა“, „ჩელსიმ“ და „აიაქსმა“ იასპარეზეს. ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრებისათვის ეს შეჯიბრება იმით იყო საინტერესო, რომ „ნიუკასლსა“ და „აიაქსში“ ჩვენმა თანამემამულეებმა თემურ ქეცბაიამ და შოთა არველაძემ ითამაშეს.

ტურნირის პირველ დღეს ჯერ ლონდონის „ჩელსი“ „ნიუკასლს“ შეებრძოლა და მატჩი ფრედ 1-1 დამთავრდა. უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ნიუკასლელთა შორის, სწორედ ქეცბაია გამოირჩეოდა, რომელმაც მინდორზე 75 წუთი დაჰყო. ნიშანდობლივია, რომ ქართველმა ლეგიონერმა წამოიწყო პირველი ტაიმის ბოლოს შედეგიანი კომბინაცია: ქეცბაიამ სწრაფი გარღვევა განახორციელა და მშვენიერი გადაცემა გააკეთა გილესპის მისამართით, ამ უკანასკნელმა ბურთი ტომასონს გადაუგდო. „ნიუკასლის“ ახალწვეულის საბოლოო დარტყმა უზადო გამოდგა, 1-0. ლონდონელებმა მხოლოდ მეორე ტაიმის შუაწელში გაქვითეს ანგარიში: დი მატეო — ძოლა — პოიეტის კომბინაციის შემდეგ.

იმავე დღეს „ევერტონმა“ „აიაქსი“ დაამარცხა, 1-0, გოლი ბარმბიმ გაიტანა. შოთა არველაძემ მთელი მატჩი შეუცვლელად ითამაშა.

მესამე ადგილისათვის ბრძოლაში, გასულ კვირას „აიაქსმა“ „ნიუკასლი“ გაანადგურა, 3-0. შოთა არველაძე მინდორზე მეორე ტაიმში გამოიყვანეს, ისევე, როგორც ქეცბაია. მატჩის დამთავრებამდე 13 წუთით ადრე არველაძემ ცრუ მოძრაობით ერთდროულად ორი მეტოქე ჩამოიცილა და მაკკარტის გადააწოდა, ამან კი საუცხოო გოლი გაიტანა. ბოლო წუთებში ჰოლანდიელებმა (ოლისე, მაკკარტი) კიდევ ორჯერ იზეიმეს წამოწყება.

ოთხთა ტურნირის ფინალში „ჩელსიმ“ „ევერტონი“ დაამარცხა (ვიალი, ფერგიუსონი, ძოლა-2).

ინტერტოტოს თასი

ნახევარფინალური ეტაპი, პირველი მატჩები

კიოლნი (გერმანია) – მონპელიე (საფრანგეთი) 2-1
დინამო (მ., რუსეთი) – დუისბურგი (გერმანია) 2-2
ისტამბულსპორი (თურქეთი) – ლიონი (საფრანგეთი) 2-1
ოსერი (საფრანგეთი) – ტორპედო (მ,. რუსეთი) 3-0
ლოკომოტივი (ნ. ნ., რუსეთი) – ჰალმშტადი (შვედეთი) 0-0
ჰამბურგი (გერმანია) – ბასტია (საფრანგეთი) 0-1

საპასუხო მატჩები დღეს გაიმართება, ფინალური ეტაპისა კი – 12 და 26 აგვისტოს.

ცოდვილები ფეხბურთში...

არაერთი ბრაზილიელი მსაჯი თუ საფეხბურთო მოღვაწე ჟურნალისტური მოკვლევის შედეგად ძალზე ცოდვილი პიროვნება აღმოჩნდა. ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის განკარგულებაშია მრავალი სატელეფონო ჩანაწერი, რომელიც ჩირქს სცხებს ამ ქვეყნის ფეხბურთს.

ბრაზილიის ტელეარხმა „გლობომ“ გადასცა ასეთი სატელეფონო საუბარი:

– ***გამომიგზავნეთ 25 ათასი რეალი (23 600 ამერიკული დოლარი). მე ვთხოვ, თუ შესაძლებელი იქნება, მსაჯს, ცოტაოდენი დახმარება აღმოგვიჩინოთ.***

– ***დაუკავშირდით ჩემს მდივანს. იგი ხელს მოჰკიდებს ამ საქმეს.***

როგორც ტელეარხის ხელმძღვანელობა იუწყება, მან ეს მაგნიტოფირი, უცნობი პირისგან მიიღო. დიახ, მაგრამ ვინ საუბრობს? პირველი თითქოს არის ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის სამსაჯო კომისიის ხელმძღვანელი ივენს მენდესი, მეორე – კლუბ „ატლეტიკო პარანაენსეს“ პრეზიდენტი მარიო სესარი პეტრალია.

აი მსაჯების გილდიის ხელმძღვანელის კიდევ ერთი რჩევა:

– ***უთხარით თქვენს ფეხბურთელებს, რაც შეიძლება მჭიდროდ ეთამაშონ ულმუნდოს. მისი წონასწორობიდან გამოყვანა ძალზე ადვილია.***

ესეც ივენს მენდესის ხმაა.

შეიძლება ამ რჩევის მოცემა არც კი იყო საჭირო, რადგან ედმუნდო უაღრესად თავდაუჭერელი ფეხბურთელია და წითელი ბარათების მთელი „სკივრი“ აქვს. „ატლეტიკო პარანაენსეს“ და „ვასკო და გამას“ შეხვედრაშიც იგივე მოხდა, რაც ასე ვთქვათ, დაგეგმილი იყო. უკვე პირველ ტაიმში იგი ეჩხუბა მასპინძელთა მცველს და ორივეს მინდორი დაატოვებინეს.

როცა მხარეებს განმარტებისათვის მიმართეს, კლუბის პრეზიდენტმა მარიო სესარ პეტრალიამ განაცხადა, მენდესთან მე არ მისაუბრიაო. რაც შეეხება მსაჯ ოსკარ რობერტო დე გოდოის, მან შორს დაიჭირა და თქვა, რომ ვინმეს ასეთი წინადადებით არ მიუმართავს.

რა თქმა უნდა, ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციას თავის მხრივ რეაგირება უნდა მოეხდინა. მისმა პრეზიდენტმა რიკარდო ტეიშეირამ გამოძიება დანიშნა. „პეტრალიასა“ და „კორიანთიანსის“ პრეზიდენტ ალბერტო დუალიბუს, რომლის საუბარი მენდესთან ასევე ფირზეა ალბეჭდილი, დროებით აეკრძალათ ფეხბურთში მუშაობა, სანამ გამოძიება გრძელდება. იგივე ეხება მენდესსაც, თუმცა იგი ცოტათი უფრო ადრე გადადგა, თქვა, რომ ანგარიშსწორებით ემუქრებიან.

მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა „გლობოს“ არხზე ინტერვიუს გადაცემამ მსაჯ ვალტერ სერნასთან. მან განაცხადა, რომ 1993 წელს მენდესს უარი უთხრა „ჩაეძირა“ კლუბი „რემო“, რის შემდეგაც მსაჯობას ჩამოაცილეს.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მენდესი აპირებს თავისი კანდიდატურა წამოაყენოს ბრაზილიის პარლამენტის დეპუტატის პოსტზე და ამისათვის კლუბებიდან მიღებულ თანხებს იყენებს. იმ შტატში — მინას ჟერაისში, საიდანაც არჩევის იმედი აქვს, ქომაგების გულის მოსაგებად მენდესმა ფეხბურთის მინდვრები მოაწყო. აქ სარეკლამო განცხადებებია გამოკრული მენდესის გვარის აღნიშვნით. თვით დეპუტატობის კანდიდატი აცხადებს, რომ ბრაზილიის მოქალაქეს, რომელსაც დეპუტატობა და პოლიტიკური კარიერა სურს, რატომ არ უნდა ჰქონდეს უფლება მეგობრებისაგან ფინანსური დახმარება მიიღოს?

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია აცხადებს

დამატებით მიღებას სახელმწიფო სექტორის დღის სწავლების პედაგოგიურ ფაკულტეტზე (ქართული განყოფილება) შემდეგი სპეციალობით:

დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი.

განცხადებები მიიღება 1997 წლის 5 აგვისტოდან 15 აგვისტოს ჩათვლით.

განცხადებას თან უნდა დაერთოს: საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), 6 ფოტოსურათი (3X4), სამედიცინო ცნობა №086; (პასპორტს და დოკუმენტს სამხედრო ვალდებულების შესახებ წარმოადგენს პირადად).

მისაღები გამოცდები ჩატარდება 17-22 აგვისტოს შემდეგ საგნებში: 1. საერთო ფიზიკური მომზადება, 2. ბიოლოგია (ზოგადი ბიოლოგია, ადამიანი და ჯანმრთელობა), 3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

კურსდამთავრებულები სპეციალობასთან ერთად მიიღებენ ოფიცრის წოდებას.

მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის, 49. ტელეფონი: 29-37-62.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია

ჭადრაკის სამყაროში

„ჩემპიონის პარანოია"

ლევ ხარიტონი

ასეთი გამომწვევი სათაურით გამოაქვეყნა პარიზის გაზეთმა „რუსსკაია მისლ"-მა თავისი მორიგი საჭადრაკო მიმოხილვა, რომლის ავტორია ყოფილი მოსკოველი ჟურნალისტი ლევ ხარიტონი. წერილი საჭადრაკო სამყაროში შექმნილ ქაოტურ ვითარებას ეხება და, ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველების ინტერესს გამოიწვევს.

კასპაროვმა კვლავ დაამტკიცა, რომ იგი სამართლიანად ითვლება მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკედ. თუკი მის წარმატებას ნოვგოროდში ლასპალმასისა და ლინარესის ტრიუმფებს დავუმატებთ — და ყოველივე ეს ნახევარი წლის განმავლობაში მოხდა — მაშინ მისი საჭადრაკო უპირატესობა ეჭვს არ იწვევს. მაგრამ დახეთ, საჩემპიონო კარიერის ყველაზე ბედნიერ პერიოდს დაემთხვა მისი წაგება საჭადრაკო მანქანა „დიპ ბლიუსთან"! ამ დამარცხებამ, ვინც პრესას იცნობს, თავად დარწმუნდება, მის მრავალრიცხოვან არაკეთილმოსურნეებს დიდი სიამოვნება მოჰგვარა. საწყენია, რომ მათ თვალსაჩინო ნაწილს უმაღლესი რანგის და არა მარტო უმაღლესი რანგის დიდოსტატები შეადგენენ, რომელთაც უერთდება იმ ჟურნალისტების დიდი არმია, რომლებიც საჭადრაკო თემაზე წერენ.

კასპაროვი, სიმართლე რომ ვთქვათ, თავადაც დიდად ირჯება, რომ კრიტიკოსებიც ჰყავდეს და ცუდი სახელიც ჰქონდეს. აი, ვთქვათ, რა საჭიროა მისთვის, უკვე 15 წელია მსოფლიოს ყველა უძლიერეს მოჭადრაკეს რომ უგებს, ხოტბა შეასხას საკუთარ თამაშს? „მე ყველა მოჭადრაკეს ვაჭარბებ საჭადრაკო თეორიის ყველა სფეროში" — განაცხადა მან ერთ-ერთ უკანასკნელ ინტერვიუში, ასეთებს კი იგი დიდი რაოდენობით იძლევა. ინტერვიუებში ხშირად ლაპარაკია არა ჭადრაკზე (რისი მოსმენაც მოჭადრაკეებს სურთ დიდოსტატისაგან), არამედ ბიზნესზე, პოლიტიკაზე და ოჯახურ აურზაურზეც კი. კომპიუტერთან მატჩის წაგების შემდეგ კასპაროვმა დაიტრაბახა, რომ „შემდეგ შეხვედრისას მას ნაფლეთებად აქცევდა". რა საჭირო იყო ასეთი ნაჩქარევი განცხადება? იქმნება შთაბეჭდილება, რომ კასპაროვი თავად აძლევს საბაბს თავის კრიტიკოსებს.

„დიპ ბლიუსთან" ნიუ-იორკში მატჩის დროს, მაგალითად, კასპაროვმა კომპიუტერის შემქმნელები დაადანაშაულა, რომ ისინი უპატიოსნო თამაშს ეწევიან, სისტემატურად ახდენენ მანქანის თამაშის დონის მოდიფიკაციას. ამასთან, როგორც ჩემპიონი ამტკიცებდა, ამას ისინი პარტიის მიმდინარეობის დროსაც აკეთებდნენ. არ ვიცი, ჰქონდა მას რაიმე საბუთი ასეთი ბრალდებებისათვის, მაგრამ პირუკუ რეაქცია კი გამოიწვია: ბევრმა ისიც თქვა, რომ კასპაროვმა განზრახ წააგო ეს მატჩი, რათა კიდევ უფრო აემაღლებინა მანქანასთან შეხვედრის ინტერესი, თავისი აქციები გაეზარდა, ფირმა იბმ-სთვის გაეწია რეკლამა. უბრალოდ რომ ვთქვათ, ჩემპიონი ავისმთქმელთა ეჭვით, ასე მოიქცა, რათა „გაეკეთებინა ფული" და სხვებისთვისაც მიეცა ამის საშუალება.

მახსოვს, ხუთი წლის წინათ, როცა რობერტ ფიშერისა და ბორის სპასკის მეორე მატჩი მიმდინარეობდა, კასპაროვი ამერიკელი ბელგრადში ჩემპიონის პრეს-კონფერენციებზე გაკეთებულ განცხადებებს შეეხო და მას პარანოიკი უწოდა. მე მაშინვე დავწერე, რომ უნდა ვერიდოთ ასეთ გამოთქმებს, შეიძლება თავი იჩინოს „ბუმერანგის" ეფექტმა, ე.ი. ეს სიტყვები უკანვე დაგვიბრუნდეს. სწორედ ასე მოხდა:

„დიპ ბლიუსთან" მატჩისადმი მიძღვნილ მრავალრიცხოვან რეპორტაჟებში კასპაროვს პარანოიკი უწოდეს, მის მოქმედებას „პარანოიკული" და ა.შ. კერძოდ, ასე დაიწერა ნიუ-იორკის მატჩზე ფრანგულ „მონდში" დიდ წერილში, რომელიც ამერიკელმა დიდოსტატმა პატრიკ ვოლფმა ჟურნალ „ნიუ ინ ჩესში" გამოაქვეყნა. ასეთი დახასიათებები ცხოვრებისეულ დონეზე და პრესაშიც პირდაპირი შეურაცხყოფაა. პარანოიას, ისევე, როგორც სხვა ავადმყოფობების დიაგნოზს ხომ ექიმები იძლევიან, და არა მოჭადრაკეები და ჟურნალისტები. კასპაროვმა კი, როგორც ამბობენ, რაც ეკუთვნოდა, ის მიიღო. ოჰ, როგორ არ იყო საჭირო მის მიერ ფიშერის ლანძღვა! მახსენდება, ამასთან დაკავშირებით, ასეთი გამოთქმა: „ჭაში ნუ ჩააფურთხებ, იქიდან წყლის დალევა დაგჭირდება!"

წამყვან დიდოსტატებს ძალიან გაუხარდათ, როცა კომპიუტერმა კასპაროვი დაამარცხა. კარპოვმა მაგალითად, განაცხადა, რომ კასპაროვის სახელი ამიერიდან ყოველთვის, უპირველეს ყოვლისა, მანქანასთან დამარცხებასთან იქნება ასოცირებული. შხამიანი ისარია ნასროლი! ისიც ვიფიქროთ, რომ კასპაროვს ჯერჯერობით არასოდეს წაუგია მატჩი ადამიანთან (პირველ რიგში, კარპოვთან). ***საჭირო ყოფილა იმ დრომდე მოცდა, სანამ ადამიანის მძლეველი მანქანა გამოჩნდებოდა. სწორედ ამის გამო დარჩება მანქანის სახელი ჭადრაკის ისტორიაში, ამით შეიძლება მანქანამ იამაყოს.*** უძლიერეს დიდოსტატ გელფანდს დღემდე კასპაროვისათვის არსად ერთი პარტიაც კი არ მოუგია. მან განაცხადა, რომ ნიუ-იორკში პირველად მოხდა, როცა კასპაროვს ასეთი ცუდი თამაშისათვის 400 ათასი დოლარი გადაუხადეს. ლოტიემ და ბაკრომ კი განაცხადეს, რომ ისინი თუნდაც ახლა არიან მზად შეხვდნენ „დიპ ბლიუს" და დაამარცხებენ კიდეც. მართალია, სულ ახლახან გამოქვეყნდა ლოტიეს წერილი ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილიუმჟინოვისადმი თხოვნით, ნუ დაუშვებს „დიპ ბლიუს" მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც წლის მიწურულს უნდა გაიმართოს. გასაგებია, უაზრობა იქნება, თუკი მსოფლიო ჩემპიონი ადამიანთა შორის საჭადრაკო ავტომატი გახდება. მეორე მხრივ, რატომ აცხადებ, რომ იოლად დაამარცხებ, თუკი მასთან შეხვედრას გაურბიხარ?

ბენ ჯონსონის თხოვნა უარყოფილია

ონტარიოს შტატის სასამართლომ განიხილა განთქმული სპრინტერის, კანადელ ბენ ჯონსონის (რომელიც ახლა მარადონას მწვრთნელია ფიზიკურ მომზადებაში) თხოვნა მუდმივი დისკვალიფიკაციის მოხსნის შესახებ. როგორც ცნობილია, ბენ ჯონსონი 1993 წელს ხელმეორედ დაისაჯა დოპინგის გამოყენების გამო.

სასამართლომ უარყო ბენ ჯონსონის თხოვნა.



ბენ ჯონსონი

არჩილ წერეთელმა შვიდივე პარტია მოიგო

დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი სენიორებს (60 წელს გადაცილებულ მოჭადრაკეებს) შორის. ამჯერად მასში ოსტატები არ გამოსულან. 14 მონაწილე ერთმანეთს შვეიცარიული სისტემით (7 ტურად) ეჯიბრებოდა.

შესანიშნავად ჩაატარა მთელი ასპარეზობა არჩილ წერეთელმა, რომელმაც მოიგო შვიდივე პარტია და ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მეორე-მეოთხე ადგილები 4,5-4,5 ქულით გაიყვეს რევაზ სიგუამ, ნოდარ გოგაძემ და გივი ელიოსიძემ.

„სპორტლოტოს" შედეგები

27 ივლისს გაიმართა ლატარია „სპორტლოტო 5-36"-დან გათამაშების 30-ე ტირაჟი, დაშვებული იყო 5925 ვარიანტი.

მოგებახვედრილი ციფრები:

36, 17, 19, 33, 1

5 და 4 ციფრი ვერავინ ამოიცნო. 3 ციფრისათვის (61 ვარიანტი) — 8.50 ლარი. მოგებები გაიცემა 30 ივლისიდან 29 აგვისტოს ჩათვლით. მორიგი 31-ე ტირაჟისათვის, რომელიც გაიმართება 3 აგვისტოს, „ჯეკ-პოტი" შეადგენს 1921 ლარს, ამასთან ერთად გამარჯვებულს ელოდება გერმანიაში მოგზაურობა.

„სპორტპროგნოზის" მოყვარულებს შევახსენებთ მორიგი ტირაჟის პროგრამას: მე-18 ტირაჟი (20 აგვისტო) **მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები.**

1. კოლუმბია — ბოლივია
2. ეკვადორი — პარაგვაი
3. ურუგვაი — ჩილე
4. ვენესუელა — პერუ

ბილეთების „ბ" ნაწილების ჩაბარების ბოლო ვადაა: რეგიონებში — 14 აგვისტო, თბილისში — 19 აგვისტოს 12 საათამდე.

გიწვევთ ტრადიციული სპორტული ლატარიების გათამაშებაში.

წარმატება მხოლოდ თქვენს არჩევანზეა დამოკიდებული.

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი



12 (თარაზ)



19



14



5



12



24-30

კროსვორდი



თარაზულად: 2. ზაფხულის XXVI ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი, 4. ნიგერიელი ფეხბურთელი, ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონი, 7. ფრანგული საფეხბურთო კლუბი, 10. ცურვის სტილი, 12. ფეხბურთელი *(ფოტო)*, 16. არგენტინის ნაკრების ფეხბურთელი 60-70-იან წლებში. 18.სატყორცნი მძლეოსნური იარაღი, 19. მწვრთნელი ფეხბურთში *(ფოტო)*, 20. წარსულში გამოჩენილი არგენტინელი ავტომრბოლი, 21. „ვაშაშისა" და უნგრეთის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მცველი, 23. ფრანგი ავტომრბოლი, 25. წმინდა გამარჯვება ძიუდოში, 28. სპორტის ზამთრის სახეობა, 30. ფეხბურთელი *(ფოტო)*, 33. რუსი ფეხბურთელი, მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი, 35. მადრიდის „რეალის" მეკარე.

შვეულად: 1. სპორტული ნიჩბიანი ნავი, 4. ვიჩენცას" ურუგვაელი ფეხბურთელი, 5. ჩოგბურთელი *(ფოტო)*, 6. ცნობილი რუსი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი, 9. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 11. 1967 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი, 12. მოჭიდავე *(ფოტო)*, 13. ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელი 80-იან წლებში, 14. გამოჩენილი ბრაზილიელი საფეხბურთო მწვრთნელი, 15. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 16. ამერიკული კალათბურთის ვარსკვლავი, 17. ზაფხულის I ოლიმპიადის მასპინძელი-ქალაქი, 22. ისრაელის საკალათბურთო კლუბი, 30. სამშვილდოსნო ინვენტარი, 31. საბერძნეთის საფეხბურთო და საკალათბურთო კლუბი, 32. საქართველოს და შვეიცარიის საფეხბურთო კლუბი.

დიაგონალურად: 9-2. მსოფლიოს სპორტსმენთა უდიდესი ფორუმი, 12-4. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 13-7. იაპონელი ტანმოვარჯიშე, მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 3-11. მსოფლიოს XI საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა, 5-17. კოლუმბიის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 8-16. მადრიდის „რეალისა" და ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 27-35. „აიაქსიდან" „არსენალში" გადასული ჰოლანდიელი ფეხბურთელი, 22-33 მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჭადრაკში ვაჟთა შორის, 24-30. ფეხბურთელი, *(ფოტო)* 31-25. სპორტული ნაგებობა, 34-26 წარსულში გამოჩენილი რუსი მწვრთნელი ფეხბურთში, 36-29. იტალიის საფეხბურთო კლუბი.

შეადგინა ბიძინა წირქვაძემ (თბილისი)

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. კიკნაძე, 8. ბრანკო, 10. იტალია, 11. ონეგა, 13. ამოკაჩი, 15. იებოა, 17. „სტატიბა", 19. გარინჩა, 22. დრექსლერი, 23. რაიციგერი, 24. დათუნაშვილი, 25. ჩიქვანაია, 26. ეფენბერგი, 27. ტაისონი, 28. ივანოვი, 30. რაგბი, 32. „სევილია", 36. აგასი, 38. სტარტი, 39. ანანდი, 42. გრიშინი.

შვეულად: 2. კლოდოალდო, 3. არგენტინა, 4. იაპონია, 5. ოვერატი, 6. ერანიო, 7. ბიკილა, 9. ოკოჩა, 10. იპონი, 14. კავაზაშვილი, 16. რადუჩოუ. 18. „ადიდასი", 19. გურიელი, 21. შტილიკე, 30 რეგატა, 31. ილინი, 32. სანტოსი, 33. ვილანდერი, 34. „ლივერპული", 35. ანგლომა, 36. აუიტა, 37. ძინდი.

დიაგონალურად: 17-4, სტოიჩკოვი, 5-20. ოლიმპიადა, 12-36. ალექსანდრია, 31-15 იაგორაშვილი, 27-40 ტარანტინი, 41-29 აბაიშვილი.

საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი (თბილისი)



შამათი 2 სვლაში

„ლელოს" 58-ე ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ეa1! b5 2. ეb4+! ab 3. ab+ და
1. ...b6 2. ეb5! მფ:b5 3. a4+,
2. ...ab 3. b3X

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოსა და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ფეხბურთში არმენაკ (არმო) თევოსიანი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძე